ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად, რუსეთმა ბალტიის ზღვაში ტაქტიკური ბირთვული იარაღით გემების განლაგება დაიწყო

გვ.4



ოთხშაბათი, 15 თებერვალი, 2023 №32 (9068) ფასი: 80 თეთრი

# „ჩვენ გვყავს პირდაპირ რუსეთიდან მართული ხელისუფლება“



**გიორგი მარგველაშვილი:** „დასავლეთში სააკაშვილის მდგომარეობას ჯერჯერობით ყურადღებით აკვირდებიან. ჩემი მცდელობაა, ვუბიძგოთ გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებს, რომ შესაბამისად ჩაერთონ ამ საკითხის გადაწყვეტაში“




გვ.2

„ჩვენ 24 თებერვალს უნდა შევიკრიბოთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავანახოთ მსოფლიოს, საქართველო, როგორც თავისუფალი და ღირსეული ხალხის ერთობა, იმსახურებს ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას“




გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „აქციას აქციისთვის, უბრალოდ, აზრი არა აქვს. უნდა დაიწყოს პროტესტი, გამოსვლები, რომელიც პერმანენტული იქნება და რომელიც შედეგის დადგომამდე არ დასრულდება“

## „საქართველო ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, ხალხი ქვეყნიდან გარბის“

## „ნაციონალური მოძრაობა ათი წლის წინ დაშვებულ შეცდომებს დღესაც იმეორებს“



გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ბატონი ივანიშვილი ასკვნის შემდეგს, რუსეთი რომც დამარცხდეს დღეს, დამარცხებულ რუსეთთან უფრო უკეთესი იქნება კომუნიკაცია და თანაარსებობა“

ოკუპირებული აფხაზეთის ადმინისტრაციამ მედასავლეთეებს შეუტია

## „ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგეს ანტირუსად აცხადებენ“



გვ.4

## „ევროკავშირი მზად არის, რუსეთის ბაზარი ჩაგვინაცვლოს?!“



გვ.3

ამირან სალუქვაძე: „ევროკავშირის ელჩს მინდა ვკითხო: თუ ჩვენ სანქციებს შევუერთდებით, რაც ეკონომიკურად საქართველოს დააზარალებს, ვინმე მზად არის, ეს ზარალი ფინანსურად სრულად აგვინაზღაუროს?“

1993230720223

4 იმსჯელა თუ არა სინოდმა მიხეილ სააკაშვილზე?!

5 ყოფილი ცოლის მკვლელობისთვის ბრალდებულს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

5 ახალქალაქში 21 წლის ბიჭი არასრულწლოვანს სექსუალურ კავშირს აიძულებდა

6 ნატომ ახალი ტაქტიკა შეიმუშავა

# „ჩვენ გვყავს პირდაპირ რუსეთიდან მართული ხელისუფლება“

## გიორგი მარგველაშვილი: „დასავლეთში სააკაშვილის მდგომარეობას ჯერჯერობით ყურადღებით აკვირდებიან. ჩემი მცდელობაა, ვუბიძგოთ გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებს, რომ შესაბამისად ჩაერთონ ამ საკითხის გადაწყვეტაში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პასუხობს.



**„ჩვენ 24 თებერვალს უნდა შევიკრიბოთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავანახოთ მსოფლიოს, საქართველო, როგორც თავისუფალი და ღირსეული ხალხის ერთობა, იმსახურებს ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას“**

***– ბატონო გიორგი, გამოდიხართ ინიციატივით და საზოგადოებას მოუწოდებთ, 24 თებერვალს დაგეგმილ აქციაზე ყველა გამოვიდეს. მაშინ როცა, ოპოზიციაც კი არ არის ერთიანი, ვერ თანხმდება ერთ კონკრეტულ თარიღზე, ზოგი 22-ში აანონსებს აქციას და ზოგიც 24-ში. ამ შემთხვევაში საჭიროა თუ არა ყველას ერთად დგომა?***

– იცით რა, 24 არის თარიღი, რომელიც არ აურჩევია არც ქართულ ოპოზიციას, არც უკრაინელებს. ეს არის თარიღი, რომელიც, სამწუხაროდ, ტრაგიკულად აირჩია პუტინმა. ეს არის ამ ტრაგიკული ომის დასაწყისი. ამიტომ ჩემთვის, ბუნებრივია, რომ ამ დღეს ერთად გამოვხატოთ ქართველი ხალხის პოზიცია. ხოლო ქართველები არიან როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება, ისე არაპოლიტიკური პირები. ასე რომ, მე 24 თებერვალი მებუნებრივება ასეთი ერთობისათვის. აქ დეტალებზე არ არის ლაპარაკი. აქ ლაპარაკია ტრაგიკულ თარიღზე, რომელიც არ აურჩევია არავის, პუტინის გარდა!

***– გაქვთ მოლოდინი, რომ ოპოზიციაც შეთანხმდება და შეძლებს ერთად დგომას?***

– რას იზამს ოპოზიცია, ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ 24-ში ქართველმა საზოგადოებამ, მთლიანად, ერთობლივად დააფიქსიროს პოზიცია. ვინ ვის რას შეუთანხმდება, ეს ერთმანეთში გაარკვიონ.

ჩვენ 24 თებერვალს უნდა შევიკრიბოთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავანახოთ მსოფლიოს, საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებული ქართველი ხალხის, საქართველოს, ფაქტობრივად, ყველა მოქალაქის სურვილი და ნება, რომ ჩვენ მათ გვერდით ვდგავართ და საქართველო, როგორც თავისუფალი და ღირსეული ხალხის ერთობა, იმსახურებს ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას.

***– ამ ყველაფრის ფონზე, საკმაოდ დამძიმდა ხელისუფლების რიტორიკა და ის მეტად პრორუსული გახდა. როგორ აფასებთ „ოცნების“ პირველი პირების განცხადებებს, რას ემსახურება ეს ყოველივე და საით მიჰყავთ ქვეყანა?***

– მე მათი განცხადებების კომენტირებას არ ვაკეთებ, მე ასეთ დეტალებში ნამდვილად არ შევალ. ერთმნიშვნელოვნად ეს არის პრორუსული ხელისუფლება. პრორუსული თუ პირდაპირ რუსეთიდან მართული. აქედან გამომდინარე, მათი საუბრის დეტალები ნაკლებად საინტერესოა. შეჯამება ერთია, ისინი რუსეთიდან არიან მართული.

***– ბატონო გიორგი, რას იტყვით მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით? ყოველდღე გამოდის ინფორმაცია, რომ ის სულ უფრო მძიმდება. გქონდათ მოლოდინი, რომ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა მოსამართლე? რამდენად ცეცხლს ეთამაშება საქართველოს ხელისუფლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე?***

– იცით, რა მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც პირველი პრეზიდენტი მოკლა, მეორე პრეზიდენტის ორჯერ აფეთქებას ცდილობდა, მესამე პრეზიდენტს წამებით ვკლავთ. ეს არის სამწუხარო ფაქტები. მე მოლოდინი მაქვს და ვცდილობ, მოვახდინო საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ეს კონსოლიდაცია ჯერჯერობით საკმარისი არ არის. ეს არის ფაქტი. ცხადია, პუტინის პირადი პატიმრის, მიხეილ სააკაშვილის გაშვება, პრორუსულ ხელისუფლებას არ აწყობს, მაგრამ მასზე არსებობს ზეწოლის ბერკეტები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. შემიძლია შეგიფასოთ, რომ ეს ზეწოლის ბერკეტები ჯერ ბოლომდე არ არის გამოყენებული.

***– ფიქრობთ, რომ დასავლეთი უფრო მეტად აქტიური იქნება ამ მიმართულებით?***

– დასავლეთმა ამ საკითხში, ისე, როგორც ბევრ სხვა საკითხში, გამოიჩინა სისუსტე. ეს სისუსტე დასავლეთს და იმ ქვეყნებს, რომლის მიმართაც პრინციპულად ვერ დგება, უჯდება ძალიან ძვირი. ამის ნათელი მაგალითია ის, რა დონემდეც მივიდა თავის აგრესიაში პირადად პუტინი და რუსეთის ფედერაცია. ეს გახდა უკვე პრობლემა დასავლეთისთვის. მათ ეგონათ, რომ ასეთი ენის მოჩლექით საუბარი, არა უშავს, ეს დარჩებოდა რუსეთის და მის ირგვლივ ქვეყნების პრობლემად. თუმცა დღეს დასავლეთი ხედავს, რომ ეს პრობლემა მთლიანად ევროპას ეხება. ამ ენის მოჩლექით მიიყვანეს მათ თავის დროზე დემოკრატიული საწყისების მქონე რუსეთი ტოტალიტარულ, ბირთვულ, აგრესიულ სახელმწიფოს მდგომარეობამდე. ეს არის თაობები დასავლელი პოლიტიკოსებისა, რომლებმაც ვერ შეიგნეს, რომ როდესაც ლაპარაკია პრინციპებზე, მათ უნდა ილაპარაკონ პრინციპულად. ზუსტად იგივე შემიძლია ვთქვა სააკაშვილთან მიმართებაში. იგივე სისუსტე, იგივე ენის მოჩლექით საუბარი და იგივე „ვაკვირდებით ყურადღებით“ და მეტი არაფერი.

***– რა უნდა ექნა დასავლეთს? ან რა ბერკეტი შეიძლება იქნას გამოყენებული? სანქციები ივანიშვილის წინააღმდეგ თუ რა გზა დარჩა?***

– აქ ბევრ მექანიზმზეა საუბარი. აქ არ არის მარტო ღია მექანიზმებზე საუბარი. არსებობს სხვა მექანიზმებიც, რომელიც ნამდვილად გააჩნია კოლექტიურ დასავლეთს და თავისუფალ სამყაროს. ჩვენ ხომ არ ვსაუბრობთ სუსტი ძალის მქონე სახელმწიფოებზე? ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიოში ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ყველაზე დიდ კონცენტრაციაზე. აქედან გამომდინარე, მათი მტკიცე პოზიცია შესაძლებელია. როცა უნდათ, ძალიან კარგად შეუძლიათ. უბრალოდ, ხშირად ასე უნდათ, რომ ყურადღებით აკვირდებოდნენ და არ ერეოდნენ. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ სააკაშვილთან მიმართებაში, მარტო ყურადღებით აკვირდებიან ჯერჯერობით. ჩემი მცდელობა, აქტიურობა, ჩემი წერილი, რომელსაც ხელი მოაწერა 20-მდე ქვეყნის პრეზიდენტმა, ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ბოლოს და ბოლოს ვუბიძგოთ გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებს, რომ შესაბამისად ჩაერთონ ამ საკითხის გადაწყვეტაში.

***– გაქვთ მოლოდინი, რომ შეიცვლება სიტუაცია?***

– მე ამაზე აქტიურად ვმუშაობ და მაქვს მოლოდინი, რომ ჩემი მუშაობა იქნება წარმატებული.

# „ნაციონალური მოძრაობა ათი წლის წინ დაშვებულ შეცდომებს დღესაც იმეორებს“

## კახა ქემოკლიძე: „ბატონი ივანიშვილი ასკვნის შემდეგს, რუსეთი რომც დამარცხდეს დღეს, დამარცხებულ რუსეთთან უფრო უკეთესი იქნება კომუნიკაცია და თანაარსებობა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.



***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? რას იტყვით ოპოზიციაში მიმდინარე ამბებზე? 24 თებერვლის დიდი აქციისთვის ემზადება ოპოზიციის ერთი ნაწილი. რამდენად უერთდებით ამ აქციას და ასე დანაწევრებული ოპოზიცია რა შედეგს დადებს?***

– მოდი ასე ვთქვათ, ოფიციალურად, პარტიულ დონეზე, ჩვენ ასეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ერთნაირი მიდგომა გვაქვს ხოლმე. ჩვენს წევრებს თუ რიგით ამომრჩევლებს, ინდივიდუალურად აქვთ აბსოლუტური თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტონ, რომელ ღონისძიებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, ან პირიქით არ მიიღონ. შესაბამისად, ჩვენი გუნდის წევრები ზოგიერთი შეიძლება მივიდეს, ზოგიერთი არ მივიდეს. ადამიანები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებას. როგორც პარტია, პარტიულ კონტექსტში, ჩვენ იქ მონაწილეობას არ მივიღებთ.

რაც შეეხება ოპოზიციის დანაწევრებას და დანაწილებას, ყველამ საკუთარ თავში შეცდომა თავადვე უნდა აღმოაჩინოს და გამოასწოროს. ეს არის ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა, არათანმიმდევრულობა და ეს არათანმიმდევრულობა განსაზღვრავს სწორედ იმას, რომ შეუძლებელი ხდება ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან თუ აქტორებთან რაღაც საკითხებზე საუბარი და კომუნიკაცია. ეს ცალსახად ცუდია.

***– პარლამენტის დატოვება რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო? დასავლელი პარტნიორებიც არ უწონებენ ამ საქციელს ნაციონალურ მოძრაობას. მათი ქუჩის აქციები მოიტანს რამეს, თუ პირიქით, „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს?***

– საქმე ისაა, რომ პარლამენტი არ დაუტოვებიათ.

***– მუშაობა შეწყვიტეს. აქვთ მანდატები და იღებენ ხელფასს.***

– დიახ. პოლიტიკური აბსურდი და ტრაგიკომიკურობა სწორედ მაგაში მდგომარეობს. ერთი მხრივ, ისინი პარლამენტის დატოვების გადაწყვეტილებას ვერ იღებენ, იმიტომ რომ, მაშინ ის სარგებელი, რაც პარლამენტის წევრს, მათ შორის მატერიალური თვალსაზრისით აქვთ, ყველაფერს კარგავენ. ამის გაკეთება არ უნდათ, მაგრამ ამავდროულად, აცხადებენ პოლიტიკურ ბოიკოტს, რომელიც ნიშნავს, რომ პარლამენტში არ საქმიანობ, მაგრამ ყველა დანარჩენ მატერიალურ სარგებელს ინარჩუნებ. ჩემი აზრით, მთლიანად მათი ეს სტრატეგია არის აბსურდის თეატრი. ამ რადიკალიზმს „ქართული ოცნება“ სათავისოდ იყენებს. აი ამ ცეცხლს პირდაპირ დამატებით ნავთს უსხამს ნაციონალური მოძრაობა, რაც არის ძალიან დიდი შეცდომა. ამის გამოყენებას „ქართული ოცნება“ აუცილებლად შეეცდება შემდეგი არჩევნებისთვის. ნაცმოძრაობის დღევანდელი გეგმები ამაზე ცალსახად მიანიშნებს.

***– მით უმეტეს, ვანო მერაბიშვილი გამოჩნდა, გააქტიურდა და ეს „ოცნებას“ ახალი ბუას შექმნის საშუალებას მისცემსო.***

– მინდა ძალიან გულწრფელად გიპასუხოთ ამ საინტერესო საკითხზე. ნაციონალური მოძრაობის პრობლემა რა არის იცით? მათ ვერ გაითვალისწინეს და გაათვითცნობიერეს ის შეცდომები, რომელიც თავის დროზე დაუშვეს. სიღრმისეული ანალიზი რომ გაეკეთებინათ, თუ რატომ მოხდა ისე, რომ 2012 წელს ხალხის დიდმა ნაწილმა აირჩია საკმაოდ ეკლექტური გაერთიანება „ქართული ოცნება“. ამას დღემდე ვერ მიხვდნენ. ხელისუფლების დაკარგვიდან 10 წლის თავზე, ნაციონალური მოძრაობა ვერ აცნობიერებს, რა იყო მათი შეცდომები. არა თუ ვერ ათვითცნობიერებს, არამედ აი ამ შეცდომებს ერთი ერთში იმეორებს.

***– და ამ შეცდომებით კარგად კვებავს „ქართულ ოცნებას“?***

– „ქართული ოცნება“ კარგი გაკეთებულით კი არ იკვებნის, არამედ სხვების შეცდომებით პარაზიტირებს. ნაციონალური მოძრაობის პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ ათი წლის შემდეგ ერთი ერთში გამეორებული შეცდომები მათ ელექტორალურად დააზარალებს. მე ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული.

***– ბატონო კახა, ბოლო პერიოდში საკმაოდ აგრესიული პოლიტიკა და რიტორიკა აქვს „ქართულ ოცნებას“. მათი განცხადებები კიდევ უფრო პრორუსული გახდაო. რას ნიშნავს კობახიძის განცხადებები, რომ ამ ომში რუსეთი დაწინაურდა და ასე შემდეგ? რა გზა, რა კურსი აირჩიეს?***

– მე ვფიქრობ, ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ შემთხვევაში მოლაპარაკე თავები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში წამოსცდებათ ხოლმე ის განწყობები, რომელიც ივანიშვილის გონებაში იხარშება, არის ცალსახად მცდარი და მიანიშნებს იმაზე, რომ სწორედაც ისინი აბსოლუტურად არასწორად აფასებენ დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებას. ბატონი კობახიძის განცხადებები, გარდა იმისა, რომ წარმოუდგენელი უგუნურება და ანალიტიკურადაც არასწორი დასკვნები იყო. სტრატეგიულ დონეზე რუსეთი უკვე დამარცხებულია და სუფთა ტაქტიკურ ოპერატიულ დონეზე, მისი დამარცხება ყოველდღიურად მიმდინარეობს. ამის მომსწრენი ჩვენ ეტაპობრივად გავხდებით. სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება“ ამ ყველაფერს ვერ აცნობიერებს და მხოლოდ და მხოლოდ რუსული პრიზმიდან უყურებს.

ჩემი აზრით, ბატონი ივანიშვილი ას-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველო ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, ხალხი ქვეყნიდან გარბის“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „აქციას აქციისთვის, უბრალოდ, აზრი არა აქვს. უნდა დაიწყოს პროტესტი, გამოსვლები, რომელიც პერმანენტული იქნება და რომელიც შედეგის დადგომამდე არ დასრულდება“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ლაშა, დაიწყო თუ არა ოპოზიციამ 2024 წლის არჩევნებისთვის ერთგვარი მზადება? პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ახლა პოლიტიკოსების ყოველი ნათქვამი და ნაბიჯი ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ.***

– სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ ვერანაირ სერიოზულ ნაბიჯს ამ მიმართულებით გადადგმულს. შეიძლება ვიღაცების სურვილია ორიოთხი დეპუტატის გაყვანა და ამისთვის ბრძოლა, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი მიზანი.

დღეს ოპოზიციას სულ სხვა ამოცანა და მიზანი უნდა ჰქონდეს. ეს უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დასასრული. ეს მიზანი და ეს ამოცანა არ იგრძნობა, სამწუხაროდ. თითქოს, ვიღაცები პარლამენტში სამი დეპუტატის გაყვანაზეც თანახმანი არიან. ეს არ არის ის იდეა, რომელიც შეიძლება ქვეყნის მოქალაქეების, პოლიტიკური სპექტრის მაკონსოლიდირებელი გახდეს.

დღეს საქართველო მართლაც დგას ყოფნა-არყოფნის წინაშე და ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება ან ემოციური ნათქვამი. ყოველდღიურად ადამიანები ქვეყანას ტოვებენ და უცხოეთში, ემიგრაციაში ეძებენ გადარჩენას. ეს ნებისმიერ ხელისუფლებას დაანგრევდა, მაგრამ რატომღაც პირიქით ხდება, უფრო და უფრო გაყოყოჩდნენ „ოცნების“ ლიდერები.

„საქართველო ქართველების გარეშე“ – ჩვენი მტრის დევიზი, როგორც ჩანს, სისრულეში მოდის. ადამიანები გაქცევაზე ფიქრობენ. აქ ოჯახებს ვერ არჩენენ. შრომის შესაფერისი ანაზღაურება არა აქვთ და გასაგებია, რატომაც გარბიან ან საერთოდ სამუშაო არ აქვთ. ურთულესი მდგომარეობაა. ხალხისგან იცლება ქვეყანა.

***– ფიქრობთ, ოპოზიციის ამოცანა პარლამენტში მოხვედრაა?***

– მე ოპოზიციას ერთ ქვაბში არ მოვხარშავდი. ამას ვამბობ საპარლამენტო ოპოზიციაზე, რომელსაც ვერა და ვერ გადაუწყვეტია, რომ პარლამენტი დატოვოს. ეს ადამიანები ვერ აცნობიერებენ, როგორ უხანგრძლივებენ ივანიშვილს პოლიტიკურ სიცოცხლეს. ივანიშვილს ვამბობ, რადგან მის გარეშე „ქართული ოცნება“, კობახიძეები, მდინარაძეები, უბრალოდ, არ არსებობენ. ერთ წუთში გაქრებიან. ივანიშვილმა კი თავის მილიარდებს ქვეყანა და ქვეყნის ინტერესები გადააყოლა.

***– როგორ ფიქრობთ, რა თემა უნდა იყოს ოპოზიციის მაკონსოლიდირებელი?***

– ერთადერთი – ვადამდელი არჩევნები! ეს კი მხოლოდ ქუჩის ზეწოლით, პერმანენტული აქციებით, ბოიკოტით, დაუმორჩილებლობით მიიღწევა. ცხადია, კანონის ფარგლებში პროტესტით, მაგრამ მისი ყველაზე მწვავე ფორმებით. ამას ვერ შევძლებთ თუ საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტი არ დატოვა. ეს არის, პირველ რიგში, საჭირო იმისთვის, რომ ადამიანებს ოპოზიციის რწმენა დაუბრუნდეთ, რომ ოპოზიცია მზად არის თავისი პირობა დაიცვას.

პარალელურ რეჟიმში თან სავარძელში იჯდე და თან ქუჩაში იდგე, არაფერი არ გამოვა. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ მანდატები დატოვონ. მე ვიტყოდი, რომ სწორედ მათ ხელშია გასაღები ვადამდელი არჩევნების ჩანიშვნის. თუ ისინი დატოვებენ პარლამენტს და ქუჩაში გავა მთელი ოპოზიცია, მერე „ოცნება“ გონს მოეგება და დაიწყებს ოპოზიციასთან დიალოგს, მაგრამ პროცესს არ უნდა ჰყავდნენ მოღალატეები, არ უნდა გაიყიდონ და დახურდავდნენ ორი-სამი დეპუტატის გაყვანაზე.



***– 24 თებერვლის აქციას თუ უერთდებით და როგორ ფიქრობთ, რა შედეგი შეიძლება მას მოჰყვეს?***

– არაფერ შედეგს არ ველოდები. ჩვენ არ ვუერთდებით ამ აქციას, რადგან არ მიგვაჩნია, რომ ეს რაიმე შედეგს მოიტანს. არავინ გაიგოს ისე, რომ აქციების წინააღმდეგი ვიყო, მთელი ჩემი ცხოვრება აქციებზე ვდგავარ, მაგრამ შედეგზე ორიენტირებული აქცია გვჭირდება, რომელიც სისტემურ ცვლილებებს მოგვიტანს, რომელიც საარჩევნო კოდექსის ცვლილებებს მოგვიტანს, რომელიც სასამართლო სისტემის ცვლილებებს მოგვიტანს. შემაკავებელი, ერთჯერადი აქციები ძალიან კარგია, მაგრამ მას დიდი ცვლილებების მოტანა არ შეუძლია. ისეთი ცვლილების მოტანა, რომელიც ერთპარტიულობას დაასრულებს, მხოლოდ ძალიან ფართომასშტაბიან პროტესტს შეუძლია, სადაც გადამწყვეტი იქნება ამ ქვეყნის მოქალაქეების ნება. მაგრამ თუ ამომრჩეველს რწმენა არ დაუბრუნდა, თუ მათ რეალური ალტერნატივა ვერ იხილეს ჩვენში, მაშინ არჩევნებზე არ მივლენ, სახლში დარჩებიან. ეს კი, რა თქმა უნდა, გარანტია იქნება ივანიშვილის 90% გამარჯვების, რაც რუსულ-ბელორუსული მოდელის გარანტიაა. ამიტომ ვამბობ, რომ აქციას აქციისთვის, უბრალოდ, აზრი არა აქვს. უნდა დაიწყოს პროტესტი, გამოსვლები, რომელიც პერმანენტული იქნება და რომელიც შედეგის დადგომამდე არ დასრულდება.

# „ევროკავშირი მზად არის, რუსეთის ბაზარი ჩაგვინაცვლოს?!“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

***– ბატონო ამირან, ევროკავშირის ელჩმა პაველ პერჩინსკიმ, რუსეთთან ფრენების შესაძლო აღდგენასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ საქართველო თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ევროკავშირის პოზიციასთან, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მესმის ვითარების სენსიტიურობა, მაგრამ ველით, რომ ჩვენს პოზიციას მიჰყვებითო. საქართველო თავისი ქმედებებით ევროკავშირის პოზიციას არ მიჰყვება?***

– აშშ-დან ასეთი განცხადებები არ ისმის. ბოლო პერიოდში აშშ-ის ელჩისა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადებებში ასეთი შეფასებები, განცხადებები არ გახმოვანებულა.

ევროპიდან, განსაკუთრებით, ევროდეპუტატების მხრიდან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ასეთი უსამართლო განცხადებები ხშირია.

თავად ელჩი ამბობს, გვესმის ვითარების სენსიტიურობისო. ალბათ, იმას გულისხმობს, რომ ჩვენი ეკონომიკა, გარკვეულწილად (სავაჭრო ბრუნვას თუ გავითვალისწინებთ, მთლიანად არა, მაგრამ დაახლოებით 30%-ით, შეიძლება, ნაკლებით), რუსეთთანაა დაკავშირებული.

ეს დღევანდელი ხელისუფლების „მონაპოვარი“ არ არის. აგვისტოს ომის შემდეგ, ჩვენ რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების, თანამშრომლობის ბუმი ვიხილეთ, როდესაც რუსეთის სახელმწიფო კომპანიებმა საქართველოში ენერგოობიექტები შეისყიდეს; წახალისებული იყო რუსეთთან ვაჭრობა, ტურიზმის განვითარება და სხვა. ტურიზმი ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია.

ამაზე ვრცლად არ ვისაუბრებ, ეკონომისტების სფეროა, მაგრამ ეკონომიკა და პოლიტიკა გადაჯაჭვულია. ზუსტად ეკონომიკურ საკითხზე გვაწვებიან.

***– ანუ ევროკავშირთან თანხვედრაში ვართ?***

– ევროკავშირთან რაში არ ვართ თანხვედრაში. კარგად იციან, რომ ასობით სანქციის დოკუმენტზე თანახელმომწერები და თანაინიციატორები თუ სპონსორები ვართ. პოლიტიკურად ყველაფერს ვუერთდებით.

არ ვუერთდებით სამხედრო ნაწილში, ანუ უკრაინას იარაღს ვერ ვაწვდით, რადგან რუსეთი კონფლიქტში ჩართულ მხარედ ჩაგვთვლის. ამიტომ არ ვუცხადებთ სანქციებს, რადგან იგივე მოჰყვება რუსეთის მხრიდან, რომელიც ჩვენს ეკონომიკას და მოსახლეობას ძალიან დააზიანებს. ამან შეიძლება საქართველოში რუსეთის აგრესიული ქმედებებიც გამოიწვიოს.

ჩვენ არ გვიცავს ევროკავშირის წევრობა, ეკონომიკის საკითხებში სანქციებს თუ შევუერთდებით, რაიმე კომპენსაცია მივიღოთ. ჩვენ არ გვიცავს ნატოს უსაფრთხოების ქოლგა, თუ ჩვენი ქმედებები საქართველოში რუსეთის აგრესიას გამოიწვევს, ანუ ეს ორი დამცავი მექანიზმი არ გვაქვს.



### ამირან სალუქვაძე: „ევროკავშირის ელჩს მინდა ვკითხო: თუ ჩვენ სანქციებს შევუერთდებით, რაც ეკონომიკურად საქართველოს დააზარალებს, ვინმე მზად არის, ეს ზარალი ფინანსურად სრულად აგვინაზღაუროს?“

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირს მიმართა, უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარების გამო, ამგვარი ხარჯების კომპენსაცია მოეხდინა. ევროკავშირის ელჩს მინდა ვკითხო: თუ ჩვენ სანქციებს შევუერთდებით, რაც ეკონომიკურად საქართველოს დააზარალებს, ვინმე მზად არის, ეს ზარალი ფინანსურად სრულად აგვინაზღაუროს?

მეორე – ევროკავშირი მზად არის, რა ნაწარმიც ჩვენ რუსეთში შეგვაქვს და რა ნაწარმიც ჩვენ რუსეთიდან შემოგვაქვს, იმ წილის კომპენსაცია მოახდინოს არა ფულით, არამედ ნაწარმით?

მზად არიან, ღვინო იქნება, ალკოჰოლური სასმელები თუ სხვა ნაწარმი (რაც რუსეთში გაგვაქვს და რაც რუსეთიდან შემოგვაქვს) იგივე ევროკავშირიდან შემოვიტანოთ და, რაც რუსეთში გაგვაქვს, ევროკავშირში გავიტანოთ?

ანუ ევროკავშირი მზად არის, რუსეთის ბაზარი ჩაგვინაცვლოს? ე.ი. ორი მომენტია: ერთი, იმის ფულადი ანაზღაურება, რა ზარალსაც მივიღებთ და, მეორე – ბაზრის ჩანაცვლება.

მადლობელი ვართ იმისთვის, რაც მოგვიტანა ევროპასთან უვიზო მიმოსვლამ, თავისუფალმა ვაჭრობამ, მაგრამ ეს თავისუფალი ვაჭრობა ჩვენი სავაჭრო ბრუნვის (იმპორტ-ექსპორტის) 100% არ არის. როგორ გავაკეთოთ ეს? როგორ ჩავანაცვლოთ?

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა ეკონომიკით. ელემენტარულად, რუსეთს პატარა სანქცია რომ დავადოთ, შეიძლება იქიდან სანქციების ნიაღვარი წამოვიდეს. შეიძლება ამისთვის რუსები მიზეზსაც ეძებდნენ, რომ საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი შექმნან და შიდა პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ. ასობით რეზოლუციას ვუერთდებით, რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში ვუჩივლეთ, როგორც დამნაშავეს. ეს არაფრად ითვლება და თუ რუსეთიდან ხორბალს არ შემოვიტანთ, ჩვენს მოსახლეობას ხორბალს დავაკლებთ, ეს დიდი საქმედ ჩაგვეთვლება?

***– ფრენების აღდგენაზე აურზაურია. თქვენ რა აზრის ხართ?***

– არ ვიცი, ყველაზე საუკეთესო დროს, საქართველოდან რუსეთში რამდენი თვითმფრინავი დაფრინავდა. მაქსიმუმ ორი იქით, ორი აქეთ. ერთ რეისზე 200 კაციც არ არის. ნებისმიერ მოქალაქეს ინტერნეტით შეუძლია მოიძიოს და, მოსკოვი-პარიზი, მოსკოვი-რომი, მოსკოვი-ბრიუსელის მიმართულებით, თვითმფრინავის ბილეთები აიღოს. ბილეთები ჩვეულებრივად იყიდება.

***– მგონი, ამ საკითხზე განაცხადა, ბევრმა ქვეყანამ რუსეთთან ფრენები შეწყვიტაო.***

– არაფერი შეუწყვეტია. პირდაპირ არ დაფრინავენ, დაფრინავენ სხვა ქვეყნების გავლით. რა მნიშვნელობა აქვს? ასე ფრენები ჩვენთანაც არ აქვთ შეწყვეტილი, ერევნისა და სხვა ქვეყნების გავლით დაფრინავენ. მოსკოვთან ფრენებით ქართველები სარგებლობენ. თუ ქართველი, რომელმაც მოსკოვიდან თბილისამდე 2 საათი უნდა იფრინოს, გაწვალდება და თვითმფრინავსა და აეროპორტში 5-6 საათს გაატარებს, ეს ევროპას რაიმე ხეირს აძლევს და რუსეთს აზიანებს, არ ვიცი.

უკრაინელებს პოდოლიაკი რომ ჰყავთ (იანუკოვიჩის ყოფილი ფინია), იმანაც კი აღიარა, რომ ერთი წლის განმავლობაში რუსეთიდან დასავლური კომპანიების მხოლოდ 9% გავიდა. ანუ დასავლური კომპანიების 91% რუსულ ბაზარზე რჩება.

ფრენები ჩვეულებრივად ხორციელდება, ოღონდ, ტრანზიტულად. ერთი თვის წინ, რუსეთის საჰაერო სივრცის გამოყენებაზე ურსულა ფონ დერ ლაიენმა რუსეთს მიმართა, ევროპისთვის რუსეთის საჰაერო სივრცე გახსნას. ოღონდ, ანაზღაურების გარეშე. საკმაოდ გასაკვირი მოთხოვნა იყო.

***– ასეთი რამ რატომ მოითხოვა?***

– მოითხოვა იმიტომ, რომ საჰაერო სივრცის შემოვლა ევროპიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში, დავუშვათ, იაპონიაში, ფრენის ღირებულებას გააორმაგებს. ანუ, როცა სჭირდებათ, მსგავს გადაწყვეტილებებს ღებულობენ. ჩვენთვის რა გახდა რუსეთში მცხოვრები 200 ქართველის გადაყვანა-გადმოყვანა, რა პრობლემას ქმნის?!

მე არ ვარ გადაწყვეტილების მიმღები და ხელისუფლებას არც რჩევას ვაძლევ, მაგრამ თავად პოზიცია და ამხელა აჟიოტაჟის ატეხვაა გასაკვირი. მით უმეტეს, რომ ფრენები რუსეთმა აკრძალა და რუსეთმა უნდა დაუშვას.

ჩანს, რუსეთი ამ საკითხს იყენებს, ერთი მხრივ, შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების გამოწვევისთვის, მეორე მხრივ, საქართველოს დასავლეთთან დასაპირისპირებლად, თორემ ამას ლავროვის, კარასინის, კასაჩოვის განცხადებები რაში სჭირდებოდა?!

***– კობახიძემ დაუშვა ფრენების დაწყების შესაძლებლობა და, როგორც ჩანს, ამან რეაქცია გამოიწვია,***

– კობახიძემ იგივე თქვა, რასაც მე ვამბობ – საქართველოს არ დაუწესებია რუსეთისთვის ფერენებზე სანქცია, რუსეთმა დააწესა. ამიტომ რუსეთმა უნდა მოხსნას, ჩვენგან რას ელოდებიან? თუ უნდათ, დაუშვან. გვინდა, ვიფრენთ, გვინდა – არა.

თუ ხმელეთით დადიან, ათასობით მანქანა გადადის და გადმოდის. მოქალაქეები გადადიან, თვითმფრინავი რას წყვეტს? მეორე – რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, რუსეთის მოქალაქეები საქართველოსკენ, ყაზახეთისკენ, ფინეთისა და სხვა ქვეყნებისკენ რომ დაიძრნენ, ევროკავშირი არ იყო, რომ განაცხადა, ვინც ომს გაურბის, უნდა მივიღოთო?

***– ელჩის აზრით, ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მისწრაფებებისთვის ხელის შეშლის, გადადების ან კურსიდან გადახვევის მცდელობაა, რადგან ეს არის რუსეთის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კლასიკური მაგალითი.***

– რაღაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუ რუსეთის პროპაგანდის ნაწილია, მაშინ გამოდის, ამ პროპაგანდაში ყველა ვართ ჩართული. რუსეთმა რაღაც გზავნილი შემოაგდო, ფრენებს აღგიდგენთ, თქვენს ქცევას შევხედავთო (არ ვიცი, ლავროვმა რა იგულისხმა) და დასავლეთი ცალკე ჩაირთო, ოპოზიცია – ცალკე და ამ საკითხს ვიხილავთ.

რუსეთმა საკითხი შემოაგდო და ახლა საქართველოს კურსს განვიხილავთ. საქართველოს კურსი ძალიან კარგადაა გამოკვეთილი. არსებულმა ხელისუფლებამ (მე კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერების მომხრე არ ვარ) კონსტიტუციაში საქართველოს ევროატლანტიკური კურსის ურყეობა დააფიქსირა. მგონი, ეს ავიწყდებათ და ყოველდღე უნდა შევახსენოთ, ყველა თანამდებობის პირს ფანჯრის წინ აბრა გამოვუკრათ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ეს უწერია.

ამაზე საუბრით უკვე დავიღალეთ. ათეული წლებია ნატოსა და ევროკავშირის კართან ატუზული ვართ. შეიძლება, ევროკავშირთან ისე მჭიდროდ არ ვიყავით, სანამ ასოცირების შეთანხმება არ გაფორმდა, მაგრამ ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ასოცირების ფარგლებში იდგმება – უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა, ახლა აღებული ვალდებულებების შესრულება, საქართველოს ევროკავშირთან ხომ აახლოებს.

იმ შეფასებებით, რომელიც ბოლო დროს ევროკომისიამ გააკეთა (დავანებოთ თავი, პირველზე ვინ გაიყვანეს, მეორეზე ხომ ვართ), ხომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგეს ანტირუსად აცხადებენ“

## ოკუპირებული აფხაზეთის ადმინისტრაციამ მედასავლეთეებს შეუტია

მარიამ მჭედლიშვილი



ოკუპანტი რუსეთის ოფიციალურმა პირებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება დააანონსეს. კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ გამოაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია აპირებს გააგრძელოს ყოველმხრივი სამოკავშირეო ურთიერთობა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“.

განცხადება დაემთხვა ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური დაძაბულობის მორიგ ტალღას. შიდა პოლიტიკური სიმწვავე აფხაზეთის ატრიბუტია, თუმცა წინა კრიზისებისა და არასტაბილურობის დროს ოფიციალური პირები არასდროს დამუქრებიან მედასავლეთეებს, რომლებიც, ფაქტობრივად, აფხაზეთში არც არსებობენ. გარდა ამისა, ბოლო დროს მოხდა კიდევ ერთი სკანდალური ფაქტი, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის საშინაო კინკლაობის ფარგლებს სცილდება, თუმცა ჯდება ანტიდასავლურ რიტორიკაში: აფხაზეთში არ შეუშვეს ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები.

### რა მოუწყო სოხუმის ადმინისტრაციამ დასავლეთის წარმომადგენლებს?

თანათავმჯდომარეები სოხუმში 8-9 თებერვალს უნდა ჩასულიყვნენ. მანამდე გამოცხადდა, რომ ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი, 57-ე რაუნდი, რომელიც 21-22 თებერვალს იგეგმებოდა, აპრილში გადაიტანეს. მიზეზი არ დასახელებულა. ამის შემდეგ სოხუმში გამოაცხადეს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებს, ანუ დასავლეთის წარმომადგენლებს, აფხაზეთში შესვლის ნებართვას არ აძლევენ.

– გაიძულებთ პატივი გვცეთ და თქვენ ჩვენ ანგარიშს გაგვიწევთ მაშინაც კი, თუ ამის სურვილი არ გაქვთ, – გამოაცხადა უცხოელების გასაგონად აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო მინისტრმა ინალ არძინბამ.

როგორ ფასდება ეს შემთხვევა? გთავაზობთ კომენტარებს.

**ჟურნალისტი როინ აგრბა:**

– აფხაზეთში თანათავმჯდომარეების ვიზიტის აკრძალვა რუსეთისა და აფხაზეთის ერთობლივი აქციაა. საერთოდ, ჟენევის დისკუსიებმა დრო მოჭამა.

**პოლიტოლოგი ნათელა აკაბა:**

– აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ ჟენევის დისკუსიებს შედეგი არ მოაქვს. ევროპელები და ქართველები აცხადებენ, რომ ეს არის კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, აფხაზებსა და ოსებს კი ანგარიში არ უნდა გაეწიოთ.

**რუსი ანალიტიკოსი ალექსანდრ სკაკოვი:**

– დასავლეთსა და რუსეთს შორის ახლანდელი ურთიერთობის პირობებში უცნაურიც იქნებოდა ჟენევის ფორმატის შენარჩუნება.

ჟენევის მოლაპარაკებების დასავლელი მონაწილეების გარდა, საოკუპაციო ადმინისტრაცია ადგილობრივ მედასავლეთეებსაც გადასწვდა. თუმცა, „მტრების“ ვინაობა არ დაუსახელებია.

### როგორ დაემუქრნენ რუსეთის ადგილობრივ მოწინააღმდეგეებს?

ე. წ. საგარეო მინისტრმა ინალ არძინბამ და ე. წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა რობერტ კიუტმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ მედასავლეთეები ახდენენ საზოგადოებაში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობების გენერირებას. მათივე თქმით, მათ წინააღმდეგ გატარდება მკაცრი ზომები კანონის ფარგლებში. ამასთან, დასასჯელების სია არ დაუსახელებიათ.

ამ განცხადებამ აფხაზეთის საზოგადოებაში ღელვა და პროტესტი გამოიწვია. იურისტი საიდ გერზედავა „ეხო კავკაზასთან“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ემუქრება ყველას, ვინც აფხაზეთის სუვერენიტეტის მომხრე და მიწების გასხვისების წინააღმდეგია. როგორც ცნობილია, აფხაზეთში რუსეთის მიმართ კრიტიკა გახშირდა ბიჭვინთის აგარაკისა და სხვა ნაკლებად გახმაურებული ობიექტების ისტორიების გამო. მათი მისაკუთრება რუსეთს უნდა.

**საიდ გერზედავა:**

– ეს არის საჯარო მუქარა საზოგადოების მისამართით. ესაა მცდელობა, ანტირუსულად წარმოაჩინონ იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების პოზიცია, რომლებიც მიწებისა და უძრავი ქონების მიტაცების წინააღმდეგ და სუვერენიტეტის დასაცავად გამოდიან. უცნაურია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი იყენებენ ისეთ ფორმულირებას, როგორიცაა „ანტირუსული განწყობები“. ისინი ასეთი განწყობების განსაზღვრაში კომპეტენტური არ არიან. საგარეო საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამსახურს საკუთარი ვალდებულებები აქვთ. ისინი მათ კონსტიტუციამ დააკისრა. კონსტიტუცია ჩინოსნებისგან მოითხოვს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, ასევე იმას, რომ ისინი თვითონ იყვნენ ამის დამცველები და არ დაივიწყონ ჩვენი სუვერენიტეტი.

ხელისუფლების ზოგიერთი ოპონენტი მიიჩნევს, რომ რუსეთის საწინააღმდეგოდ თავად აფხაზეთის ხელისუფლება მოქმედებს.

**აფხაზეთის სახალხო მოძრაობის ლიდერი ადგურ არძინბა:**

– ანტირუსული განწყობების კატალიზატორი თვითონ პრეზიდენტი ასლან ბჟანიაა. მას უნდა ჩვენება, რომ პუტინი არ ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. საერთაშორისო არენაზე ხდება იმის წარმოჩენა, რომ პუტინი გამომძალველი და შანტაჟისტია.

გეოპოლიტიკურ ორომტრიალს ერთვის მთავრობაში შემუშავებული კანონპროექტი ოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების შესახებ.

ოპონენტების აზრით, ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მუხლს მიწის გაყიდვის აკრძალვის შესახებ. საზოგადოების ნაწილი ბჟანიას ბრალად სდებს იმას, რომ ის რუსეთის წარმომადგენლებს აფხაზეთის უძრავ ქონებას კანონის დარღვევით უთმობს.

მკაფიო განცხადებების მიუხედავად, უკრაინაში ომისა და მისგან გამომდინარე პროცესების გამო ოკუპირებულ აფხაზეთში დაბნეულობა და გაურკვევლობა შეინიშნება. არის ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობის აღდგენის მცდელობაც. არასამთავრობო სექტორმა ე. წ. პრეზიდენტს წარუდგინა ჩრდილოეთ კავკასიასთან (ამ რეგიონის რესპუბლიკებთან) ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობის გაღრმავების წინადადებები.

აფხაზებისთვის ეს პერსპექტივაც ბუნდოვანი უნდა იყოს. გაურკვეველია, როგორ მოხდება მჭიდრო და ძმური კავშირის აღდგენა, მაგალითად, ჩეჩნებთან, რომელთა დიდი ნაწილი რუსეთის მოწინააღმდეგე და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლია, კადიროვსა და მის რაზმს კი სოხუმისთვის ნაკლებად სცალიათ.

# იმსჯელა თუ არა სინოდმა მიხეილ სააკაშვილზე?!



ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი, მეუფე ნიკოლოზი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილზე სინოდის დღევანდელ სხდომაზე საუბარი არ ყოფილა, რადგან სეკულარულ სახელმწიფოში სასულიერო პირებს იურიდიული ბერკეტები არ აქვთ. მეუფე ნიკოლოზი ამბობს, რომ მესამე პრეზიდენტთან ის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დადის და სხვა არავითარი უფლებამოსილება არ აქვთ:

„მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობას ჩვენ შეხებული ვართ. მე პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დავდივარ მასთან, ვაზიარებ და დღესაც ვიყავი და ვაზიარე და მინდა გითხრათ, რომ ეს არის ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება ამ პიროვნების მიმართ. მეტი რაღა უნდა იყოს, მიტროპოლიტი დადის მასთან. არა გვაქვს არავითარი უფლებამოსილება, სეკულარულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჩვენ ვართ შედეგზე ორიენტირებულები, არავითარი იურიდიული ბერკეტი არ გაგვაჩნია“ – ამბობს მიტროპოლიტი. სინოდის სხდომა დღეს 5-საათიანი დაგვიანებით დაიწყო და დაახლოებით 40 წუთში დასრულდა.

# ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად, რუსეთმა ბალტიის ზღვაში ტაქტიკური ბირთვული იარაღით გემების განლაგება დაიწყო

30 წლის განმავლობაში პირველად, რუსეთმა ბალტიის ზღვაში ტაქტიკური ბირთვული იარაღით შეიარაღებული გემების განლაგება დაიწყო. ამის შესახებ ნორვეგიის დაზვერვის სამსახურმა ყოველწლიურ ანგარიშში განაცხადა. ინფორმაციას Politico ავრცელებს.



– ატომური პოტენციალის ძირითადი ნაწილი განლაგებულია რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ფლოტის წყალქვეშა ნავებსა და წყალზედა გემებზე, – აღნიშნავს ნორვეგიის დაზვერვა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ ფლოტის ხომალდები, ცივი ომის დროს, რეგულარულად გადიოდნენ ზღვაში ბირთვული იარაღით, მაგრამ თანამედროვე რუსეთის ფედერაციამ ეს პირველად გააკეთა.

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ასევე აქვს წყალქვეშა ნავები, ანტისატელიტური იარაღი და კიბერ შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება დაემუქროს ნორვეგიას და ნატოს, ტაქტიკური ბირთვული იარაღი წარმოადგენს „განსაკუთრებით მნიშვნელოვან საფრთხეს რამდენიმე ოპერაციულ სცენარში, რომლებშიც შესაძლოა ნატოს ქვეყნები იყვნენ ჩართული, – აღნიშნულია მოხსენებაში.

ნორვეგიის დაზვერვა ასევე აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, ადგილობრივი ომის ესკალაცია უფრო ფართო კონფლიქტში გადაიზარდოს, შეერთებული შტატების, ნატოს და ნორვეგიის მონაწილეობით.

სააგენტოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი შეინარჩუნებს მოდერნიზაციას და განავითარებს თავისი ბირთვული არსენალის, უახლოეს წლებში რუსეთის ბირთვულ დოქტრინაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

# „ნაციონალური მოძრაობა ათი წლის წინ დაშვებულ შეცდომებს დღესაც იმეორებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კვნის შემდეგს, რომ რუსეთი რომც დამარცხდეს დღეს, დამარცხებულ რუსეთთან უფრო უკეთესი იქნება კომუნიკაცია და თანაარსებობა, ვიდრე გამარჯვებულ დასავლეთთან. გამარჯვებული დასავლეთი დაასრულებს მათ ხელისუფლებას, რაც ივანიშვილს არ სურს. ივანიშვილი ფიქრობს სასურველზე და ამიტომ ივანიშვილისთვის უკეთესი იქნება თუნდაც დამარცხებული რუსეთის გავლენის ქვეშ დარჩენა.

***– ბატონო კახა, რას იტყვით ამერიკის ელჩის ცვლილებაზე? ბევრი შეფასება მოვისმინეთ და ძირითადად დადებითი. რას იტყვით თქვენ?***

– მე ვფიქრობ, ქალბატონი რობინ დანგინის დანიშვნა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გზავნილი იქნება სამხრეთ კავკასიისთვის, სუფთა პოლიტიკურად რეგიონალურ ჭრილში თუ შევაფასებთ. ის არის ძალიან გამოცდილი დიპლომატი. ამერიკის ელჩი, რომელიც საქართველოში ინიშნება, ყველა გამოცდილია და ყველა პროფესიონალია, თუმცა კონკრეტულად ამ ქალბატონის დანიშვნა, ასევე მიანიშნებს, რომ საქართველო არის ძალიან პრიორიტეტული, უკრაინასთან ერთად და ამერიკის ინტერესი სამხრეთ კავკასიაში არა თუ შესუსტდება, არამედ პირიქით, გაძლიერდება. ეს გზავნილი იქნება „ქართული ოცნებისთვის“! მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცდილობენ ამერიკასთან მეგობრობის და მათთან სტრატეგიული თანამშრომლობის ძირის გამოთხრას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამას ვერ მოახერხებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ჩემი ინფორმაციით, ამერიკის ელჩი იცვლება ამ ზაფხულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ ელჩს ექნება თვითდამკვიდრების და ადგილზე დეტალებში გარკვევის სრული ერთი წელი 2024 წლის არჩევნებამდე. ეს არის ძალიან კარგი ფაქტი და ისიც ნიშანდობლივია, რომ ეს ხდება ამ ზაფხულს და არა შემდეგ ზაფხულს. ნებისმიერ დიპლომატს სჭირდება მინიმუმ 6 თვე ადგილზე სიტუაციაში გასარკვევად.

# „ევროკავშირი მზად არის, რუსეთის ბაზარი ჩაგვინაცვლოს?!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჩანს, რომ ვალდებულებებს ვასრულებთ, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების განაცხადი უკან ხომ არ გაგვიწვევია? არა.

შემთხვევით დსთ-ში ან სხვა, ვთქვათ, ევრაზიულ კავშირში ხომ არ ვართ? მოლდოვასგან განსხვავებით, არ ვართ. მოლდოვას მისამართით მსგავსი განცხადებები კეთდება? არა. ჩვენ მიმართ კეთდება. რატომ? ვერ გავიგე, აბსურდის თეატრია? რა ბავშვობაა!

თუ ჩვენს ზრახვებში, ჩვენი კურსის ურყეობაში ეჭვი ეპარებათ, შეიკრიბონ ნატოს ლიდერები და როგორც ფინეთი და შვედეთი გამოაცხადეს ნატოს წევრებად (უბრალოდ, გარკვეული მიზეზების გამო, თურქეთის მიერ შვედეთი იბლოკება), ასე გამოსცადონ ჩვენი მიღება.

ასევე შეიკრიბოს ევროკავშირი და თავის წევრად მიგვიღოს. თუ აღარ შევალთ, დავინახავთ, რომ ამ ხელისუფლებას რაღაც სხვა მიზნები აქვს. თუ ისევ ნატოსა და ევროკავშირის კართან ვდგავართ, კარი კი არ იღება, მიუხედავად იმისა, ყველა ვალდებულების შესრულებას ვცდილობთ, მაშინ რაზეა საუბარი, რა კითხვები ისმის?!

მაშინ გამოდის, ჩვენი ნატოში მიღება არ სურთ. რა წინააღმდეგობაა დღეს საქართველოს ნატოში მისაღებად? აბსოლუტურად ნულოვანი წინააღმდეგობაა. ადრე გვეუბნებოდნენ, რუსეთის რეაქციას ვერიდებითო, რასაც გაგებით ვხვდებოდით, საქართველოს ნატოში მიღებას მსოფლიო ომი რომ არ მოჰყოლოდა.

იმ ფონზე, როდესაც რუსეთის სამხედრო აგრესიის გამო, უკრაინის მიწა იწვის და რუსეთის რეაქციას აღარ ერიდებიან, უკრაინას იარაღს აწვდიან, უკრაინის მხარდაჭერაში მთლიანად ჩართული არიან, უკრაინის ომის ფონზე, რუსეთის კარის მეზობელი ორი ქვეყანა დაიმატეს, რა პრობლემაა, საქართველოს ნატოში მიღება რომ გამოცხადდეს?

რა პრობლემაა, იგივე რომ გამოცხადდეს, რაც ფინეთთან და შვედეთთან დაკავშირებით გაკეთდა, თქვან, საქართველოს ნატოს წევრად ვიღებთო და გაწევრიანების პროცედურები დაიწყონ? კითხვები დამთავრდება.

როგორც კი ნატოსა და ევროკავშირში გაგვაწევრიანებენ, ავტომატურად ყველა სანქციას შევუერთდებით. იქ ვიქნებით, სადაც ჩვენი პარტნიორები იქნებიან.

ყველა სანქციას ვუერთდებით, რასთან მიერთებაც შეგვიძლია. რაც სახელმწიფოს დანგრევას და საფრთხეების მაქსიმალურ გაზრდას გამოიწვევს, იმის გაკეთებას ვერიდებით. უსაფრთხოების გარანტიები მოგვცენ და, კი ბატონო.

# პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის 45 პირი დააკავა, მათ შორის 23 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო პერიოდში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 45 პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

– ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის და გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებსა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 45 პირი დააკავეს, მათ შორის 23 ნარკორეალიზატორია.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დაკავებულების მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, მათი პირადი, ავტომანქანების, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „ალფა პვპ“, „ბუპრენორფინი“, „სუბოქსინი“, „ექსტაზი“, „ლსდ“, „მეტადონი“, „კეტამინი“, „მეფედრონი“, „მეტამფეტამინი“, „მდმა“, „ამფეტამინი“, ე.წ. ბიო, „მარიხუანა“, „ტრამადოლი“ და სხვ.

ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება 260-ე, 18-260-ე, 19-260-ე და 262-ე, 273 პრიმა და 19-273 პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, – ნათქვამია ინფორმაციაში.



# ვაკეში მაღაზიიდან ბავშვებმა სიგარეტი მოიპარეს

ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, 72 ნომერში მდებარე ქსელური მაღაზია „ორი ნაბიჯის“ ფილიალი გაქურდეს. შემთხვევა დღეს, 14 თებერვალს, დილით მოხდა.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, მაღაზია არასრულწლოვანებმა გაქურდეს. მათ მაღაზიის კარის მინა ჩაამტვრიეს და ისე მოახერხეს შიგნით შესვლა.

წაღებულია რამდენიმე კოლოფი სიგარეტი.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

# სენაკი–ფოთის მაგისტრალიდან მერსედესი არხში გადავარდა



ავტოსაგზაო შემთხვევა სენაკი-ფოთის ცენტრალურ მაგისტრალზე. ჭალადიდის მონაკვეთთან მერსედესის მარკის მსუბუქი ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და არხში გადავარდა. დაშავებულია ოთხი ადამიანი. არსებული ინფორმაციით, მათი მდგომარეობა მძიმეა. დაშავებულები, შესაბამისი სამსახურების ადგილზე მისვლამდე, მანქანიდან გამვლელებმა გამოიყვანეს. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

# ყოფილი ცოლის მკვლელობისთვის ბრალდებულს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, ყოფილი მეუღლის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, 2022 წლის პირველ ივლისს, მსჯავრდებულმა ყოფილ მეუღლეს, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად, დაჭრილი ქალი ადგილზევე გარდაიცვალა.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ყოფილი მეუღლის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყოფილი მეუღლის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 1 ივლისს, ქ.ქუთაისში, ბრალდებულმა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით, ყოფილ მეუღლეს დანით ჭრილობები მიაყენა. მიღებული დაზიანების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „თ, კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ყოფილი მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული კაცი პოლიციამ მკვლელობის დღესვე დააკავა.

# შსს ბათუმში, ზღვაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს



შინაგან საქმეთა სამინისტრო ბათუმში, ზღვაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა განაღმვითი სამუშაოები, ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობის ნარჩენები და დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. ასევე, ამოღებული და შესწავლილია მოქალაქეების მიერ გადაღებული, ფაქტის ამსახველი კადრები.

შსს-ის განმარტებით, პოლიციამ უკვე გამოკითხა თვითმხილველები.

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შეტყობინების მიღებისთანავე, მყისიერი რეაგირება მოახდინა და შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ შესაბამისი დანაყოფები, მათ შორის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლით.

გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა განაღმვითი სამუშაოები, ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობის ნარჩენები და დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. ამოღებული და შესწავლილია მოქალაქეების მიერ გადაღებული, ფაქტის ამსახველი კადრები. პოლიციამ უკვე გამოკითხა თვითმხილველები.



სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სწრაფმავალი კატარღებით ეტაპობრივად ახდენენ ბათუმისა და ფოთის მიმდებარე აკვატორიის, ასევე, ნავსადგურების დათვალიერებას, აგრეთვე ახორციელებენ ანაკლიიდან სარფამდე სანაპირო ზოლის მონიტორინგს. საგანგებო სიტუაციების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები სპეციალური დრონების საშუალებით პერიოდულად მონიტორინგს ახორციელებენ.

მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებს ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ და კოორდინირებულად მუშაობენ.

ნებისმიერ შეტყობინებასა თუ ინფორმაციაზე ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს კრიმინალური პოლიცია.

სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის მეშვეობით მოახდენენ სანაპირო ზოლის დაცვის მონიტორინგს, განახორციელებენ უსაფრთხოების შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ამასთანავე, გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ მეთევზეებთან, სანაოსნო-სატრანსპორტო საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, სანაპირო ზოლის გასწვრივ განთავსდება სპეციალური ბარიერები.

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად გამოიცა სპეციალური ცირკულარი, ნავიგაციის უსაფრთხოების ზომების შესახებ. ნავსადგურების კაპიტნებისა და ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის, კომერციული, სატრანსპორტო და სატვირთო გემების, აგრეთვე თევზსაჭერი სეინერების წარმომადგენლების ინფორმირება.

რეგიონში არსებული ვითარების გამო, ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა შავი ზღვის მიმდებარე სხვა სახელმწიფოებშიც.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტსა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფორუმის ფარგლებში, გასული წლის განმავლობაში განხორციელდა ინფორმაციის მოწოდება, კერძოდ, ბულგარეთის შავი ზღვის სასაზღვრო საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრიდან და თურქეთის ეროვნული საკოორდინაციო ცენტრიდან მიღებულ იქნა ინფორმაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო სივრცეში (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და უკრაინა) აღმოჩენილი მცურავი ნაღმების შესახებ. ასევე გვეცნობა, რომ ცუდი მეტეოროლოგიური პირობების (შტორმი) შედეგად, შესაძლებელია, მცურავი ნაღმები შემოტანილ იქნას საქართველოს საზღვაო სივრცეში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ ზღვაში ან სანაპირო ზოლზე საეჭვო ნივთის შემჩნევის, ან აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტ „112“-ს და დეტალურად მიაწოდონ ინფორმაცია, – აღნიშნულია შსს-ის განცხადებაში.

# ახალქალაქში 21 წლის ბიჭი არასრულწლოვანს სექსუალურ კავშირს აიძულებდა

ახალქალაქში, არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის იძულებასა და ინტიმური ფოტოების გავრცელების მუქარისთვის, ერთი პირი დააკავეს.

„სამხრეთის კარიბჭეს“ ინფორმაციით, 21 წლის ბიჭი სამართალდამცავებმა კვირას, 12 თებერვალს დააკავეს, ის ბრალს აღიარებს. ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა 13 თებერვალს, ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. სხდომა მედიისთვის დახურული იყო.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, არასრულწლოვანის ინტიმური ფოტოები სოციალურ ქსელში მაინც გავრცელდა, თუმცა უცნობია, უშუალოდ ბრალდებულმა გაავრცელა თუ საქმეში სხვა პირები მონაწილეობდნენ.

გამოძიება სსკ-ის 139-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ პუნქტით მიმდინარეობს, რაც სექსუალური კავშირის იძულებას გულისხმობს. გარდა ამისა, დაკავებულს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით ჩადენილ ქმედებას – გამოძალვასაც ედავებიან.

დანაშაული 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# საგაკვეთილო პროცესის დროს, 36-ე სკოლაში ჭერი ჩამოინგრა

ჩუღურეთის რაიონში, თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში, ჭერი ჩამოინგრა.

შემთხვევა სკოლის დერეფანში, ორშაბათს, 13 თებერვალს, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მოხდა, რა დროსაც სკოლაში მოსწავლეებიც იმყოფებოდნენ.

ინციდენტის შემდეგად არავინ არ დაშავებულა.

მშობლების ინფორმაციით, სკოლის რეაბილიტაცია სულ ახლახან დასრულდა და ინციდენტი, სავარაუდოდ, არასრულყოფილმა ან უხარისხო მასალით შესრულებულმა სამუშაოებმა გამოიწვია.

მომხდართან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაცია არ საუბრობს.

2023, 15 თებერვალი, №32

# სისხლისმღვრელი ბრძოლები დონბასში



როგორც ცნობილია, პუტინმა გასცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, 24 თებერვლისთვის რუსულმა არმიამ მთელი დონბასის ტერიტორია უნდა დაიკავოს. აშკარაა, რომ ეს ვერ სრულდება. ოკუპანტებს პრობლემები შეექმნათ კრემენოესთან, სვატოვოსთან, ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან და, რა თქმა უნდა, ბახმუტთან. პასუხად პუტინმა დონბასში დამატებითი ძალები გადაისროლა. ბრძოლებმა ფართომასშტაბიანი და სისხლისმღვრელი ხასიათი მიიღო.

– დღეისათვის რუსული არმიის 80% უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფება! უმრავლესობა მათგანი დონბასშია, – აცხადებს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე კეტლინ ჰიკსი.

ყველაზე ცხარე ბრძოლებია ბახმუტთან. უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც რუსი ოკუპანტები წინ ვერ მიიწევენ. ოკუპანტების რიგებში დიდძალი მსხვერპლია. პასუხად რუსებმა ბახმუტის დაბომბვა გააძლიერეს. მტერი იყენებს როგორც ავიაციას, ისე ტანკებს და რეაქტიულ არტილერიას. ბახმუტში არ დარჩა არც ერთი მთელი სახლი. მიუხედავად ამისა, ქალაქი მაინც მტკიცედ დგას და მასზე კვლავაც უკრაინული დროშა ფრიალებს.

უკრაინელი ჯარისკაცების სიმტკიცემ აიძულა ოკუპანტები, შეეცვალათ ტაქტიკა. ახლა ბახმუტზე პირდაპირი შეტევები აღარ ხორციელდება. რუსები ცდილობენ კონტროლი დაამყარონ სტრატეგიული მნიშვნელობის ტრასებზე: ბახმუტი-კონსტანტინოვკა, ბახმუტი-სლავიანსკი, ბახმუტი-ჩასოვ იარი. თანახმად უკანასკნელი ცნობებისა, ოკუპანტები კონსტანტინოვკისაკენ მიმავალ გზას მიუახლოვდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასზე კონტროლის დამყარება ვერ შეძლეს. ასევე უკრაინელები აკონტროლებენ სლავიანსკისა და ჩასოვ იარისაკენ მიმავალ გზებსაც. გამომდინარე აქედან, ბახმუტის ალყაში მოქცევა ოკუპანტებმა ვერ შეძლეს.

დრამატული მოვლენები განვითარდა კრასნაია გორასთან. ოკუპანტებმა მთელ ქვეყანას მოსდეს, რომ კრასნაია გორა აიღეს. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ფირმა ვაგნერის ბანდიტები კრასნაია გორას მოსადგომებთან. ინფორმაცია ნაჩქარევი აღმოჩნდა. ელვისებური შეტევით უკრაინელებმა ვაგნერელებს უკან დაახევინეს. ბრძოლაში უამრავი ბანდიტი დაიღუპა. პუტინმაც კრასნაია გორასთან უკვე მედესანტეები გადასხა. დღეისათვის ბრძოლები უკვე კრასნაია გორას ქუჩებში მიმდინარეობს.

არანაკლებ დრამატულია უგლედართან განვითარებული მოვლენები. რუსებმა საზღვაო ქვეითების ელიტარული ნაწილები გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, უკრაინელებმა შეტევა მოიგერიეს. განადგურებულია საზღვაო ქვეითების 4 ბატალიონი, 36 ტანკი და დიდძალი სხვა ტექნიკა.

მთელი დონბასი ცეცხლშია გახვეული. ბრძოლებია უდიდეს ტერიტორიაზე კრემენოედან-უგლედარამდე. ამან შეუძლებელი გახადა რუსების შეტევა ბელორუსიდან კიევის ან დასავლეთ უკრაინის მიმართულებით. ასევე ვერ ხორციელდება სახმელეთო შეტევა უკრაინის სამხრეთით (ზაპოროჟიე-ხერსონი). დღეისათვის რუსეთი იძულებულია მთელი ყურადღების კონცენტრაცია დონბასზე მოახდინოს.

# ბაიდენი: „ჩინური აეროსტატის ჩამოგდება საჭირო იყო“

როგორც ცნობილია, აშშ-ის თავზე ცოტა ხის წინ აეროსტატი გამოჩნდა. ის ჩინეთს ეკუთვნოდა. როგორც კი აეროსტატი ატლანტიკის ოკეანის თავზე აღმოჩნდა, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ის ჩამოაგდეს.

თავად ბაიდენმა თავის ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ აეროსტატის ჩამოგდება საჭირო იყო, რადგან ის აშშ-ის საჰაერო სივრცეში შემოიჭრა და ამაზე რეაგირება აუცილებელია:

– ჩვენ სხვაგვარად მოქცევა არ შეგვეძლო, – თქვა ბაიდენმა.

ამავე დროს აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ჩინეთის ხელისუფლებასთან ყველა კავშირს ინარჩუნებს. ეს აუცილებელია, რათა სიტუაცია უკონტროლო არ გახდეს.

# ნატომ ახალი ტაქტიკა შეიმუშავა



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს უკრაინის დამორჩილება სურს და არა მშვიდობა. ამიტომაც მოლაპარაკებების ნაცვლად დონბასში ახალი შეტევა წამოიწყო.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის შეიარაღება გაძლიერდება. ამავე დროს ნატომ საკუთარი იარაღის წარმოებაზეც უნდა იფიქროს.

– რუსეთიდან მომავალი საფრთხე რეალურია! ეს გვაიძულებს, კონტრზომები განვახორციელოთ, – თქვა სტოლტენბერგმა.



# გენერალი ზალუჟნი გენერალ კავოლის დაუკავშირდა

უკრაინის არმიის სარდალი გენერალი ზალუჟნი ევროპაში აშშ-ის არმიის გაერთიანებული შტაბების უფროსს, გენერალ კავოლის დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი შინაარსი უკრაინის იარაღით მომარაგება იყო.

# ბრძოლები უკრაინის სამხრეთში

უკრაინის სამხრეთ რეგიონში პოზიციური ბრძოლებია. ოკუპანტები ვერ ახერხებენ სრულფასოვანი სახმელეთო შეტევის განხორციელებას. მიზეზი მარტივია: რუსების მთელი ძალები დონბასისაკენაა გადასროლილი. სამხრეთში ოკუპანტები ძირითადად ქალაქებს ბომბავენ. ისინი გეგმაზომიერად ანადგურებენ ინფრასტრუქტურას და ენერგეტიკულ სექტორს.

– გინდათ, რომ დაბომბვები შეწყდეს? მაშ აღმართეთ რუსეთის დროშა და ჩამოშორდით უკრაინას! – ცინიკურად განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

რუსებმა დაბომბეს ზაპოროჟიე, ხერსონი, ნიკოპოლი, ნიკოლაევი, ოდესა. დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

# მაია სანდუ რუსეთს ბრალს სდებს




როგორც ცნობილია, უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი მოლდოვაში გადატრიალებას გეგმავს. მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ ეს ოფიციალურად დაადასტურა.

ქალბატონმა მაიამ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ცდილობს დესტაბილიზაცია მოახდინოს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი ხელი მიუწვდება.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს ღებულობს. ამან რუს ჯარისკაცებს შორის მსხვერპლის ზრდა განაპირობა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იღუპებიან ახალწვეულები.

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგია: ტანკები – 3.283, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.492, არტილერია – 2.290, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი საშუალებები – 234, თვითმფრინავები – 296, ვერტმფრენები – 286, უპილოტო საფრენი საშუალებები – 2007. განადგურებულია 139.080 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის მონაცემები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


## კალეიდოსკოპი

# სასამართლოს დარბაზში შევარდნილი ლეოპარდი იქ მყოფთ თავს დაესხა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის გაზიაბადის ოლქში ლეოპარდი სასამართლოს დარბაზში შეიჭრა და იქ მყოფი რამდენიმე ადამიანი დააშავა.

გააფთრებულმა მტაცებელმა სასამართლოს შენობაში შეაღწია და შემდეგ პირველ სართულზე მდებარე ხალხით სავსე დარბაზში შეიჭრა, სადაც საქმის სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა. შენობაში პანიკა დაიწყო, როდესაც ლეოპარდი რამდენიმე ადამიანს თავს დაესხა. დაზიანებები მინიმუმ იქ მყოფმა სამმა ადამიანმა მიიღო.

პოლიციელებმა და სასამართლოს თანამშრომლებმა ცხოველის დაჭერა და მისი გალიაში მოთავსება მოახერხეს. დაშავებულები კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# მაღაზიის გამქურდავ მამაკაცს დანაშაულის ადგილზე ბანკის ბარათი დარჩა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ-კოსტის მკვიდრი ავტოგასამართ სადგურზე შეიჭრა, ძაღლის საჭმელი გაიტაცა და შემდეგ იმის გამო ჩავარდა, რომ სალაროსთან თავისი საბანკო ბარათი დატოვა.

დილით ადრე 21 წლის ლანტც კურტცი ავტოგასამართი სადგურის დაკეტილ მაღაზიაში უკანა შესასვლელიდან შევიდა და რამდენიმე ნივთი მოიპარა. მალე განგაშის სიგნალზე შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ. მათ დანაშაულის ჩადენის ადგილი დაათვალიერეს და სალაროს გვერდით დახლზე დადებული ლანტც კურტცის სახელზე გაფორმებული საბანკო ბარათი იპოვეს.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ჩანდა, თუ როგორ იპარავდა მაღაზიაში შესული მამაკაცი ძაღლის საჭმელს, ანტიფრიზს და თამბაქოს მოსაწევ მოწყობილობას. მაღაზიის გაქურდვის შემდეგ მამაკაცმა მაღაზიის შესასვლელი კარის საკეტი გახსნა და წავიდა.

პოლიციელებმა კურტცის ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს გაჩერებულ მანქანაში მიაგნეს და დააკავეს. მან აღიარა, რომ მაღაზიაში შეიჭრა და რამდენიმე ნივთი მოიპარა. როდესაც მას დაუსვეს შეკითხვა, თუ რატომ დატოვა საბანკო ბარათი სალაროსთან, მან უპასუხა, რათა მოგვიანებით დაბრუნებულიყო და ფული გადაეხადა, რომ მისი ვინაობა სცოდნოდათ, რადგან მას მოპარვა არ სურდა.

ამის მიუხედავად კურტცი დააპატიმრეს და შეიარაღებული ძარცვის და ქურდობის ბრალდება წაუყენეს. ის პატიმრობიდან 10 ათასი დოლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

# ლატარიაში ჯეკპოტის მომხსნელი მამაკაცი ბოტასების ქურდობაზე ჩავარდა

ბრიტანეთის უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ კიტლის მცხოვრებმა მომენტალური ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა, შემდეგ კი თავი სასამართლოში ამოყო 15 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ბოტასების მოპარვის ბრალდებით.

2018 წელს 43 წლის კურიერმა დევიდ სუოტმენმა მომენტალურ ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო. მისმა მოგებამ 100 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. ამ მოგების შემდეგ მამაკაცმა განაცხადა, რომ ფულს თავისი საყვარელი კლუბის „ლივერპულის“ თამაშებზე დასასწრებად დახარჯავდა. ორი წლის შემდეგ სუოტმენი პოლიციამ დააკავა. ის ეჭვმიტანილი იყო თავისი დამსაქმებელი კომპანიისთვის 15 ათასი ფუნტის ღირებულების ფეხსაცმლის მოპარვაში. ქურდობის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც კომპანიაში შემოწმების დროს ფეხსაცმლის რაოდენობასა და ყუთების რაოდენობას შორის შეუსაბამობა აღმოაჩინეს. სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ჩანს, რომ საწყობიდან მანჩესტერის ბაზაში მიმავალ გზაზე სოუტმენი არაერთხელ ჩერდებოდა და საქონელი სხვა მანქანაში გადაჰქონდა. საბოლოოდ ხუთ კოლოფს და ორ ტომარა ბოტასს დანიშნულების ადგილამდე არ ჩაუღწევია.

დაკითხვაზე სოუტმენმა ქურდობის ფაქტი აღიარა. მას სასამართლომ 20 თვით პირობითი პატიმრობა, ასევე ხუთი დღით სარეაბილიტაციო კურსის გავლა, 150 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება და 425 ფუნტი სტერლინგის სასამართლო ხარჯების გადახდა მიუსაჯა.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ საკუთარი გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ მამაკაცის საქმე სასამართლოს ორი წლის დაგვიანებით გადაეცა, მიუხედავად იმისა, რომ მან დანაშაული მაშინვე აღიარა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# შედეგები

13 თებერვალი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-ევერტონი .................. 2:0

სიტი-ასტონ ვილა .......................... 3:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 21 | 16 | 3 | 2 | 46-18 | 51 |
| 2.სიტი | 22 | 15 | 3 | 4 | 56-22 | 48 |
| 3.მანჩესტერი | 23 | 14 | 4 | 5 | 38-28 | 46 |
| 4.ნიუკასლი | 22 | 10 | 11 | 1 | 35-13 | 41 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 12 | 3 | 8 | 42-35 | 39 |
| 6.ბრაიტონი | 21 | 10 | 5 | 6 | 39-28 | 35 |
| 7.ფულემი | 23 | 10 | 5 | 8 | 34-30 | 35 |
| 8.ბრენტფორდი | 22 | 8 | 10 | 4 | 36-29 | 34 |
| 9.ლივერპული | 21 | 9 | 5 | 7 | 36-28 | 32 |
| 10.ჩელსი | 22 | 8 | 7 | 7 | 23-22 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 22 | 8 | 4 | 10 | 26-34 | 28 |
| 12.კრ.პალასი | 22 | 6 | 7 | 9 | 20-30 | 25 |
| 13.ლესტერი | 22 | 7 | 3 | 12 | 36-38 | 24 |
| 14.ნოტინგემი | 22 | 6 | 6 | 10 | 17-37 | 24 |
| 15.ვულვზი | 22 | 6 | 5 | 11 | 17-31 | 23 |
| 16.ვესტ ჰემი | 22 | 5 | 5 | 12 | 19-27 | 20 |
| 17.ლიდსი | 22 | 4 | 7 | 11 | 28-38 | 19 |
| 18.ევერტონი | 22 | 4 | 6 | 12 | 16-30 | 18 |
| 19.ბორნმუთი | 22 | 4 | 6 | 12 | 20-44 | 18 |
| 20.საუთჰემპტონი | 22 | 4 | 3 | 15 | 18-40 | 15 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-სოსიედადი .................... 2:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 18 | 2 | 1 | 43-7 | 56 |
| 2.რეალი | 20 | 14 | 3 | 3 | 40-17 | 45 |
| 3.სოსიედადი | 21 | 13 | 3 | 5 | 31-21 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 21 | 11 | 5 | 5 | 30-17 | 38 |
| 5.ბეტისი | 21 | 10 | 4 | 7 | 27-22 | 34 |
| 6.რაიო | 21 | 9 | 6 | 6 | 28-23 | 33 |
| 7.ბილბაო | 21 | 9 | 5 | 7 | 31-22 | 32 |
| 8.ვილიარეალი | 21 | 9 | 4 | 8 | 22-18 | 31 |
| 9.ოსასუნა | 21 | 8 | 6 | 7 | 19-19 | 30 |
| 10.მალიორკა | 21 | 8 | 4 | 9 | 16-20 | 28 |
| 11.ხირონა | 21 | 6 | 6 | 9 | 27-31 | 24 |
| 12.სევილია | 21 | 6 | 6 | 9 | 23-29 | 24 |
| 13.ვალიადოლიდი | 21 | 7 | 3 | 11 | 15-28 | 24 |
| 14.სელტა | 21 | 6 | 5 | 10 | 22-33 | 23 |
| 15.ალმერია | 21 | 6 | 4 | 11 | 25-34 | 22 |
| 16.კადისი | 21 | 5 | 7 | 9 | 17-33 | 22 |
| 17.ესპანიოლი | 21 | 4 | 9 | 8 | 26-33 | 21 |
| 18.ვალენსია | 21 | 5 | 5 | 11 | 26-26 | 20 |
| 19.ხეტაფე | 21 | 4 | 7 | 10 | 18-28 | 19 |
| 20.ელჩე | 20 | 1 | 6 | 13 | 15-40 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რასინგი-ლეგანესი .......................... 2:1

### იტალია. სერია ა

ვერონა-სალერნიტანა .................... 1:0

სამპდორია-ინტერი ........................ 0:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 22 | 19 | 2 | 1 | 54-15 | 59 |
| 2.ინტერი | 22 | 14 | 2 | 6 | 41-26 | 44 |
| 3.ატალანტა | 22 | 12 | 5 | 5 | 41-24 | 41 |
| 4.მილანი | 22 | 12 | 5 | 5 | 38-30 | 41 |
| 5.რომა | 22 | 12 | 5 | 5 | 29-19 | 41 |
| 6.ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 37-19 | 39 |
| 7.უდინეზე | 22 | 7 | 9 | 6 | 30-25 | 30 |
| 8.ტორინო | 22 | 8 | 6 | 8 | 22-23 | 30 |
| 9.იუვენტუსი | 22 | 13 | 5 | 4 | 34-17 | 29 |
| 10.მონცა | 22 | 8 | 5 | 9 | 28-30 | 29 |
| 11.ბოლონია | 22 | 8 | 5 | 9 | 28-32 | 29 |
| 12.ემპოლი | 22 | 6 | 9 | 7 | 21-28 | 27 |
| 13.ლეჩე | 22 | 5 | 9 | 8 | 22-25 | 24 |
| 14.ფიორენტინა | 22 | 6 | 6 | 10 | 23-29 | 24 |
| 15.სასუოლო | 22 | 6 | 6 | 10 | 26-33 | 24 |
| 16.სალერნიტანა | 22 | 5 | 6 | 11 | 25-42 | 21 |
| 17.სპეცია | 22 | 4 | 7 | 11 | 19-37 | 19 |
| 18.ვერონა | 22 | 4 | 5 | 13 | 20-33 | 17 |
| 19.სამპდორია | 22 | 2 | 5 | 15 | 10-36 | 11 |
| 20.კრემონეზე | 22 | 0 | 8 | 14 | 15-40 | 8 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### საფრანგეთი. ლიგა 2

მეცი-კაენი ........................................ 0:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

რიუ ავე-ეშტორილი ........................ 2:0

ბოავიშტა-კასა პია .......................... 0:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საბა ლობჟანიძემ თურქეთში მომხდარ მიწისძვრასა და საქართველოს ნაკრებზე ისაუბრა



საქართველოს ნაკრების შემტევი საბა ლობჟანიძე თურქეთის იმ რეგიონის გუნდში თამაშობს, სადაც დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა – ჰათაისპორში. გუნდი უკვე ჩაეხსნა თურქეთის ჩემპიონატიდან, მაგრამ ადგილი შეუნარჩუნდება.

ეს დიდი ვერაფერი შვება იქნება, რადგან გუნდის ერთი ფეხბურთელი, კრისტიან ატსუ და ერთიც მწვრთნელი ჯერ არსად ჩანან...

ლობჟანიძემ ამ და სხვა თემებზე სატელევიზიო გადაცემა „ტაიმ აუტში“ ისაუბრა.

**საბა ლობჟანიძე:**

– მიწისძვრის დროს სახლში ვიყავი. მთელ ქალაქს ეძინა, როცა ეს საშინელება დაიწყო... ღამის 4 საათი იყო და დაახლოებით 2 წუთი გაგრძელდა. არ ვიცი, სიტყვებით როგორ გადმოვცე ის, რაც იქ მოხდა. სახლიდან ძლივს გამოვასწარი.

ბოლომდე არ დაინგრა, მაგრამ შიგნით ჭერი და ყველაფერი ჩამოინგრა. მერვე სართულზე ვცხოვრობ და ეგრევე გარეთ გამოვიქეცი... საშინელება იყო, მიწა მოძრაობდა, თანაც რაღაც ანათებდა. მეგონა მეჩვენებოდა, მაგრამ ვიდეო გავრცელდა და ღამე ცა მართლა ანათებდა, მიწიდან კი ისეთი საშინელი ხმა მოდიოდა, სულში გიძვრებოდა...

ეს უდიდესი სტრესია, მაგრამ ჯანმრთელად ვარ. საშინელება და უდიდესი ტრაგედია ისაა, იმ მშობლების სახეებს რომ უყურებ, რომლებიც შვილებს ეძებენ. ამიტომ, მე რაც მომივიდა, ეს არაფერია იმასთან შედარებით.

ატსუზე კი თქვეს, ნახესო, მერე ყველამ აიტაცა, მაგრამ ვიკითხე, ვინმემ ნახა-მეთქი და ვერავინ მიპასუხა, არავის უნახავს. ერთი იმის იმედი მაქვს, რომ ჰოსპიტალებში 100 ათასობით ადამიანია და შეიძლება, ვერ გვიკავშირდება.

გუნდში ვინც თურქი ფეხბურთელი გვყავდა, ყველას სახლი დანგრეულია. ფაქტობრივად, კორპუსი არ არის, რომელიც გადარჩა.

ატსუ 11-სართულიანი კორპუსის მე-9 სართულზე ცხოვრობდა, ხოლო მეხუთე და მეშვიდე სართულებზე ჩვენი 2 ფეხბურთელი და 2 მწვრთნელი. ისინი სასწაულად გადარჩნენ – მაგიდის ქვეშ იყვნენ. ზოგი იმ დღესვე იპოვეს და გამოიყვანეს.

ძალიან დიდი მადლობა ჩემს ქართველ ხალხს, თურქებს ასე რომ ეხმარებიან. არ აქვს მნიშვნელობა ეროვნებას, რელიგიას... ასეთ ტრაგედიას არავინ არ იმსახურებს. ვინც არ უნდა იყოს, ყველანაირად უნდა დავეხმაროთ...

ჰათაისპორი ჩემპიონატიდან მოიხსნა. ჩვენმა პრეზიდენტმა ფეხბურთის ფედერაციას შეატყობინა, რომ სეზონს ვეღარ ითამაშებდა. ახლა ფეხბურთისთვის არავის სცალია. პირველ რიგში, ველოდები ჩემს სტატუსს. გუნდი გაჩერდა, მაგრამ სეზონის ბოლომდე ასე მე ვერ გავჩერდები.

შეიძლება იჯარით გამიშვან, რადგან ჰათაისპორთან კონტრაქტი მაქვს. ზუსტად არ ვიცი და ველოდები, რას მეტყვიან და რა სტატუსი მექნება. თანაც სანაკრებო თამაშები მოდის და ვერც წარმომიდგენია, პროფესიონალი ფეხბურთელი როგორ უნდა გავჩერდე. მინდა, რომ ვარჯიში სწრაფად დავიწყო.

კლუბთან კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევარი მაკავშირებს. მაგრამ ამ ამბის შემდეგ რამდენიმე გუნდი უკვე გამოჩნდა – თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ევროპაში სატრანსფერო „ფანჯარა“ დახურულია და ამიტომ არ ვიცი, ჩვენთვის დროებით გახსნიან თუ როგორ იქნება...

საქართველოს ნაკრები? ერთა ლიგის ფლეიოფს არ უნდა დაველოდოთ და ევრო 2024-ზე ამ ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. ძლიერი ჯგუფია, მაგრამ ჩვენი ნაკრები ძალიან გაძლიერდა. ამას არა მხოლოდ ქართველები, უცხო თვალიც ხედავს. გუნდში ყველა მეუბნებოდა, კარგი ნაკრები გყავთო.

მთელი თურქეთი კი არა, მსოფლიო ყოველ კვირას ხვიჩა კვარაცხელიაზე და მის პერფორმანსებზე ლაპარაკობს. ეს ხომ იშვიათად არ ხდება, ყოველ კვირას გამოდის და რაღაცას აკეთებს. ზუსტად ესაა ფეხბურთელის შეფასების მთავარი კრიტერიუმი – სტაბილურად კარგი თამაში...

იგივე ითქმის მამარდაშვილზე. ფეხბურთი მარტო სტატისტიკა არ არის. კვარას მაგარი სტატისტიკა აქვს, მაგრამ, ამ ციფრებზე მეტს აკეთებს – მისი ფეხბურთით ისიამოვნებ. მამარდაშვილიც ასეა. რეალმა და ბევრმა გუნდმა ვალენსიას „გადაუარა“, მაგრამ გიორგი ყველგან საუკეთესო იყო.

ლა ლიგის მიმოხილვისას „სეივებში“ სულ მისი ეპიზოდებია. მარტო კვარაცხელია და მამარდაშვილი კი არა, თურქეთში ბევრი ქართველი ფეხბურთელი იციან, ვინც უცხოეთში თამაშობს.

ამიტომ მიზნისკენ სვლა ნორვეგიით უნდა დავიწყოთ. ჯგუფის გამოკვეთილი ფავორიტი ესპანეთია, მაგრამ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მონოტონური ფეხბურთი ითამაშა – უბრალო პასებით გაუთავებელი გადაადგილებები...

საბოლოო პასია ყველაფერი. ასე დაუსრულებლად პასებით თამაში როდემდე შეიძლება?! მაროკომ ისეთი კონტრშეტევები გაუკეთა, მოგება დაიმსახურა. ესპანეთი კი თითქოს გადარჩენაზე იყო. ალბათ, ესპანელები შეეცდებიან, სათამაშო სქემა შეცვალონ.

ნორვეგიას ჰყავს ჰალანდი და ედეგორი. სტატისტიკა ერთია, მაგრამ ჰალანდს სტატისტიკურად ძლიერ გუნდებთან თამაში და გატანა უჭირს. ედეგორი ძალიან მომწონს, ახალგაზრდობის შემდეგ ბევრად დაჭკვიანდა.

თუ როგორ უნდა ვეთამაშოთ მათ, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. მაგრამ ჩემი აზრით, ორივეს რომ ძალიან მჭიდროდ ვეთამაშოთ, მათთვის რთული და ბევრად არაკომფორტული იქნება.

ჩვენს ნაკრებში მაგარი განწყობაა. კარგია ის ფაქტი, შესარჩევ ციკლს საშინაო მატჩით რომ ვიწყებთ. ნორვეგია უშუალო კონკურენტია და არა მგონია, რომ ელოდნენ იმ ატმოსფეროს, რაც ბათუმის სტადიონზე იქმნება. შვედეთთან ისეთი ატმოსფერო იყო, ძნელია ეს გადმოსცე. ამიტომ, გულშემატკივრების დიდი იმედიც მაქვს.

# ბითაძე ჯადოქარი გახდა



თავისუფალი აგენტის სტატუსი გოგა ბითაძემ სულ 2 დღე ატარა და ახალი გუნდი იპოვა. 23 წლის ქართველი ცენტრი ორლანდო მეჯიქის კალათბურთელია.

როგორც გახსოვთ, საქართველოს ნაკრების ცენტრი რამდენიმე დღის წინ ინდიანა პეისერს დაშორდა. ბითაძის ყოფილმა გუნდმა ჩვენებურთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. და მაინც, ბითაძე მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში დარჩა. ერთია, ფლორიდულ კლუბთან კონტრაქტის პირობები ჯერ არ გახმაურებულა.

თუმცა, ბითაძეს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ორლანდოშიც ბრძოლა მოუწევს. გოგას გარდა, ორლანდოში 3 ნომინალური ცენტრი ირიცხება – ვენდელ კარტერი, ბოლ ბოლი და მორის ვაგნერი.

ბითაძე ახალ გუნდში 35-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. ორლანდოს 24 მოგებითა და 34 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზეა. უახლოესი მატჩი კი 15 თებერვალს ტორონტოსთან აქვს.

# ნანა ძაგნიძემ მიუნხენის გრან პრი მესამე ადგილით დაასრულა



მიუნხენში დასრულდა ფიდეს გრან პრის მეორე ეტაპი, სადაც ქართველმა ნანა ძაგნიძემ მესამე ადგილი დაიკავა და 110 ქულა გამოიმუშავა.

ბოლო ტურში მხოლოდ ლიდერმა, ალექსანდრა კოსტენიუკმა წააგო, სხვა ყველა პარტია ყაიმით დასრულდა.

საბოლოოდ, ცხრილმა ასეთი სახე მიიღო: კოსტენიუკი – 7.5 ქულა; კონერუ – 7; ძაგნიძე – 6,5; დრონავალი – 6; აბდუმალიკი, პაეტცი, თან ჩჟუნი, ჩჟუ ცზინერი – 5,5; მ. მუზიჩუკი – 5, კაშლინსკაია – 4,5; ა. მუზიჩუკი – 4; ვაგნერი – 3,5.

როგორც გითხარით, ეს მეორე ეტაპი იყო, სულ გრან პრი ოთხ ეტაპად გაიმართება და მსოფლიოს 16 საუკეთესო დიდოსტატი თამაშობს: ნანა ძაგნიძე (საქართველო), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი), კატერინა ლაჰნო (რუსეთი), მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ანა მუზიჩუკი (უკრაინა), თან ჩჟუნი (ჩინეთი), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), პოლინა შუვალოვა (რუსეთი), ალინა კაშლინსკაია (პოლონეთი), ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი), ელიზაბეტ პეტცი (გერმანია), ჩჟუ ცზინერი (ჩინეთი), ბიბისარა ასაუბაიევა (ყაზახეთი), დინარა ვაგნერი (გერმანია) და ჰამპი კონერუ (ინდოეთი).

შეჯიბრების თითოეული მონაწილე 3-3 ტურნირში მიიღებს მონაწილეობს. თითოეულ ეტაპზე 12-12 მოჭადრაკე წრიული სისტემით მოსინჯავს ძალებს და იქ დაგროვებული გრან პრის ქულებით 2 საუკეთესო გამოვლინდება.

ორი ეტაპის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: კოსტენიუკი – 250 ქულა (2 ეტაპი); ცზინერი – 175 (2); ლაჰნო – 160 (1); აბდუმალიკი – 145 (2); გორიაჩკინა, კონერუ – 130 (1); ჩჟუნი – 125 (2); ძაგნიძე – 110 (1); პაეტცი – 95 (2); დრონავალი – 90 (1); ვაგნერი – 70 (2); ვაიშალი – 60 (1); კაშლინსკაია – 60 (2); მ.მუზიჩუკი – 40 (1); ასაუბაიევა – 30 (1); ა.მუზიჩუკი – 20 (1); შუვალოვა – 10 (1).

გასამართია კიდევ ორი ეტაპი: მესამე ეტაპს 2023 წლის მარტში ინდოეთმა უნდა უმასპინძლოს, ხოლო მეოთხე რაუნდი პოლონეთშია (მაისი) დაგეგმილი.

საგზურების ბედი, ჯერჯერობით, ძალიან ბუნდოვანია, კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება, თუ პოლონეთი ტურნირზე რუს მოჭადრაკეებს არ დაუშვებს. არადა, ამას უკვე წინასწარ აცხადებენ. ფიდე კი, შეჯიბრების სხვაგან გადატანას არ აპირებს.

# გიორგი ჭყოიძე: „როდესაც გუნდურად ვთამაშობთ, შედეგსაც შესაფერისს ვიღებთ“



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატზე უკვე ორი გამარჯვება მოიპოვა. ნიდერლანდებთან (40:8) მატჩში კვაჭმა გიორგი ჭყოიძემ 8 წუთის ინტერვალით ორი ლელო გაიტანა.

ჭყოიძის მეორე ლელო საქართველოს ნაკრებისთვის საიუბილეო გამოდგა – რაგბი ევროპის ჩემპიონატში მე-500.

ჭყოიძე რაგბი ევროპამ ნიდერლანდებთან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, მაგრამ გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილოა.

**გიორგი ჭყოიძე:**

– საიუბილეო თუ იყო, არ ვიცოდი, რადგან მორაგბეები ლელოებს არ ვითვლით. მთავარია, რომ ჩვენ მიერ გატანილმა ლელომ გუნდს წარმატება მოუტანოს. დანარჩენი მხოლოდ ციფრებია, რომელიც ჩვენთვის არაფერს ნიშნავს.

დავალებები ვერ შევასრულეთ. ვინც არ უნდა იყოს მეტოქე, იქნება ეს ტიერ 1-ის წევრი თუ ნიდერლანდები, ჩვენი თავისგან მაქსიმუმს ვითხოვთ. ამსტერდამში ინდივიდუალურად უფრო ვითამაშეთ, ვიდრე გუნდურად, რამაც ხარისხის კუთხით დიდი გავლენა იქონია. ჩვენთვის კი გუნდური თამაში ძლიერი მხარეა და ვიმედოვნებთ, მომდევნო შეხვედრა ბევრად უფრო ხარისხიანი იქნება.

მომდევნო მეტოქე ესპანეთია, კარგი გუნდია, რაზეც მეტყველებს, რომ ჩვენ მსგავსად ორივე თამაში მოიგეს. მომავალი შეხვედრისთვის მზადება უკვე დავიწყეთ. კარგად ვიცით, რომ სერიოზული თამაში გველოდება და განწყობაც შესაფერისია. როდესაც გუნდურად ვთამაშობთ, შედეგსაც შესაფერისს ვიღებთ. იმედი მაქვს, ამჯერადაც ასე იქნება და ჩვენი თამაშის ხარისხით და, რა თქმა უნდა, გამარჯვებით, მთელ ქვეყანას გავახარებთ.

საქართველოს ნაკრები კი უკვე პორტუგალიაშია და მომდევნო მატჩისთვის ემზადება, რომელიც 18 თებერვალს ტორელავეგაში გაიმართება და მეტოქედ ესპანეთი გვეყოლება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მითითება, რჩევა-დარიგება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას; 2. ციური სხეული; 3. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 4. რაიონული ცენტრი კახეთში; 5. სისხლის თხევადი ნაწილი; 9. ეგვიპტის დედაქალაქი; 10. სამთო-სათხილამურო კურორტი სლოვენიაში; 14. სიმღერისა და ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ქვეყნებში; 16. მოდუღებული ყურძნის წვენი; 19. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 20. მდინარე ტოკიოში; 21. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 6. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 7. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 8. ტბა სომხეთში; 11. სხეულის რომელიმე ნაწილის ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისათვის; 12. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 13. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 17. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. კოსმონავტის ჰერმეტული კოსტიუმი; 22. ამერიკელი მრეწველი, საძინებელ-სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი; 23. ჯარის რჩეული ნაწილი; 24. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც დედამიწას ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებად ყოფს; 25. ნავთობის საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ადამაშვილი; 2. სალაჰი; 3. მორიელი; 4. რაბლე; 5. მადნეული; 6. გორდი; 7. კახიანი; 9. სატივე; 13. იჯარა; 17. სუვა; 18. ოყა.

**თარაზულად:** 1. ადიდასი; 3. მწყერი; 8. კამორა; 10. სალხინო; 11. იალტა; 12. ფერმერი; 14. ქვევრი; 15. ბრინჯაო; 16. ლისტი; 19. ცერული; 20. ვისკოზა; 21. ბითაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ინსინუაცია; 2. სალათი; 3. თოფურია; 4. დიარა; 5. სუბიექტი; 6. ქურქი; 7. დიორამა; 9. იაკუძა; 13. ჰინდი; 17. ტუში; 18. ტბა.

**თარაზულად:** 1. იმპულსი; 3. თამადა; 8. თუნუქი; 10. პატრული; 11. შნეკი; 12. მაკლერი; 14. ტანძია; 15. არაბიკა; 16. ტატრა; 18. აზდაკი; 20. ლატავრა; 21. მწნილი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


15 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6583 |
| ევრო | 2.8585 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.2410 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6025 |

## ამინდის პროგნოზი 15 თებერვლისათვის




## სალაჰი: „ევერტონთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“

ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ევერტონი დაამარცხა ანგარიშით 2:0 და სატურნირო ცხრილში თავისი მდგომარეობა შედარებით გაიუმჯობესა. მატჩის შემდეგ მოჰამედ სალაჰმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის თავისი გუნდის თამაშით და, რაც მთავარია, შედეგით კმაყოფილია: „დღეს გუნდმა აჩვენა, რომ ჩვენ ისევ შეგვიძლია მაღალ დონეზე თამაში და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ლივერპული ვართ. სატურნირო ცხრილში უფრო წინ უნდა წავიწიოთ“.

## ბრუნო ფერნანდეში: „ბარსელონა განსაკუთრებული გუნდია“



მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ბრუნო ფერნანდეშმა ბარსელონასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მატჩები განსაკუთრებული იქნება, რადგან ბარსელონა უნიკალური გუნდია: „ბარსელონას წინააღმდეგ თამაში დიდი პატივია და მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როდესაც მატჩი დაიწყება. ვფიქრობ, მათი დამარცხება შეგვიძლია, რადგან კარგ ფორმაში ვართ“.

## ენცო ფერნანდესი: „ბორუსიასთან რთული მატჩი გველის“

ლონდონის ჩელსის ახალწვეულმა ენცო ფერნანდესმა ბორუსიასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს რთული შეხვედრა ელის, რადგან ბორუსიას შეუძლია მათთვის პრობლემების შექმნა: „ჩელსის ჩემპიონთა ლიგაში დიდი ამბიციები აქვს და ამისთვის საჭიროა დორტმუნდში კარგი შედეგის მიღწევა. იქ თამაში ყოველთვის რთულია და ჩვენ ეს ვიცით“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

მოხუცი მამაკაცი ახალგაზრდა გოგონაზე დაქორწინდა. ცხრა თვის შემდეგ მეუღლე სამშობიაროში მიიყვანა. ექიმი ეკითხება:

– თქვენ მშობელი ხართ?

– არა, მეუღლე.

– ყოჩაღ, ბერიკაცო!

– აბა რა, ძრავა ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში უნდა გქონდეს.

გავიდა კიდევ ერთი წელი და კაცმა ისევ მიიყვანა მეუღლე სამშობიაროში. გაოცებული ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– ისევ თქვენ ხართ? ყოჩაღ, მაგარი ხართ.

– აბა რა, ძრავა ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში უნდა გქონდეს, – ისევ უპასუხა მოხუცმა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ ისევ მიადგა სამშობიაროს მეუღლესთან ერთად.

– თქვენ, მართლაც მაგარი ყოფილხართ, – ეუბნება გაოცებული ექიმი.

– აბა რა, ძრავა ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში უნდა გქონდეს.

მშობიარობის შემდეგ ექიმი გამოდის და მოხუცს ეუბნება:

– ძია კაცო, როგორც ჩანს, თქვენს ძრავას ზეთის გამოცვლა სჭირდება.

– რა ზეთის გამოცვლა?

– ზანგი დაიბადა, ზანგი!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ხატია ბუნიათიშვილი დედა გახდება



პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი დედა გახდება. 35 წლის მუსიკოსმა ეს სასიხარულო ინფორმაცია ათასობით გულშემატკივარს სოციალური ქსელის საშუალებით გაუზიარა.

ხატიამ ინტერნეტში ფოტო გაავრცელა, სადაც წამოზრდილი მუცელი უჩანს. ინფორმაციამ პიანისტის გულშემატკივრები ძალიან გაახარა და ხატიას ყველაფერი საუკეთესო უსურვეს.

## მატილდა გვარლიანი ნიუ იორკის მოდის კვირეულზე გამოვიდა



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი ნიუ იორკის მოდის კვირეულში იღებს მონაწილეობას.

ლამაზმანმა ტაილანური წარმოშობის კანადელი დიზაინერის ჯასონ ვუს უახლესი კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა.

მატილდა გვარლიანი მსოფლიო მოდის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეა. ის პირველი ქართველი მოდელია, რომელიც მოდის ჟურნალ „ვოგის“ ყდაზე დაიბეჭდა. მას ცნობილი ბრენდები უახლესი კოლექციების ჩვენებებში მონაწილეობისთვის სისტემატურად ეპატიჟებიან.

## პაოლო იაშვილს ახალი წიგნი მიეძღვნა

„ცისფერყანწელთა“ გაერთიანების ერთ-ერთ გამორჩეულ პოეტს პაოლო იაშვილს ახალი წიგნი მიეძღვნა. მისი შემოქმედების დასაცავად პოეტის დაბადების 130-ე წლისთავზე „ელენე დარიანის დღიურების“ ავტორის იდენტიფიკაციის საკითხი ლიტერატურული კვლევებისთვის, გარკვეულწილად, ახალ გამოწვევად იქცა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე არაერთი ისტორიული, ფაქტობრივი, ტექსტოლოგიური არგუმენტი გამოქვეყნდა იმის დასადასტურებლად, რომ „ელენე დარიანის დღიურების“ ავტორი პაოლო იაშვილია.

პოეტის ავტორობაში დაეჭვება განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო მაშინ, როცა მავანთ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მოწმეთა უმრავლესობა ცოცხალი აღარ ეგულებოდათ. ამ პროცესში ჩართულმა პირებმა საწინააღმდეგო აზრის მქონე ლიტერატურათმცოდნეთა და მკვლევართა მტკიცებულებებისა და არგუმენტების მიღებასა თუ აღიარებაზე უარი თქვეს და არ გაიზიარეს ის, რაც კომპეტენტურმა მეცნიერებმა არაერთხელ განაცხადეს.

პაოლო იაშვილის შემოქმედების ამ ფორმით ეჭვქვეშ დაყენების კიდევ ერთი ცდა იყო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ კრებულის „ელენე ბაქრაძე-დარიანი“ გამოცემა. ამ კრებულში არა მხოლოდ პაოლო იაშვილის, არამედ სხვა ავტორთა – ანა კალანდაძის, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნიმუშებიც აღმოჩნდა მითვისებული და მათი ავტორობაც ელენე ბაქრაძეს მიაწერეს. ამის გამჟღავნებისთანავე წიგნის დამფინანსებელმა კულტურის სამინისტრომ შეაჩერა წიგნის გავრცელება და დაგმო საავტორო უფლებათა დარღვევის უხეში ფაქტი.

ცოტა ხნის შემდეგ ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა, კერძო შემოწირულობების წყალობით, ხელახლა გამოსცა კრებული და განაცხადა, რომ ეს იყო სამინისტროსათვის წინააღმდეგობის გაწევის აქტი.

კრებული კვლავაც საავტორო უფლებების უგულებელყოფით გამოიცა: გარეკანს ისევ აწერია „ელენე ბაქრაძე-დარიანი“, წიგნში კი შეტანილია პაოლო იაშვილის ლექსები პოეტური ციკლიდან „ელენე დარიანის დღიურები“.

ამ ყოველივეს ფონზე სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, დამუშავებულიყო და ერთ აკადემიურ კრებულად გამოცემულიყო კომპეტენტურ მკვლევართა, ლიტერატურათმცოდნეთა, ტექსტოლოგთა, მეთოდოლოგთა, ისტორიკოსთა ის ნაშრომები, რომლებიც 1997-2022 წლებში ამ თემაზე შექმნილა და ეფუძნება პროფესიული ანალიზის პრინციპებს, თანამედროვე კვლევით მეთოდებსა და შეხედულებებს.

პაოლო იაშვილის საიუბილეო თარიღთან, დაბადების 130-ე წლისთავთან დაკავშირებით, სამინისტროს ხელშეწყობით და ფონდის „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ მონაწილეობით გამოიცა წიგნი „ელენე დარიანის დღიურები. ტექსტი და ავტორი – პაოლო იაშვილი“. კრებულში თავი მოიყარა იმ ძველმა თუ ახალშექმნილმა არგუმენტირებულმა მასალამ, რომელიც სწორედ ლიტერატურულ-ტექსტობრივ ანალიზს ეფუძნება.

## ხელოვნების სასახლეს მოოქრული ვერცხლის ქამარი შესწირეს

საქართველოს ხელოვნების სასახლეს მოოქრული ვერცხლის ქამარი შესწირეს, რომელიც იორდანე ჩუბინიძეს ეკუთვნოდა.

გიორგი კალანდია, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი:



– სამუშაო კაბინეტში 86 წლის საოცრად სანდომიანი ქალბატონი მესტუმრა, მისი არსებობის შესახებ ვიცოდი, „იმედის“ პროგრამების ხელმძღვანელის მაია ჩიგოშვილის ახლობელი ყოფილა. მაიამ დამირეკა და მითხრა, გეძებსო. ეს შესანიშნავი ქალბატონი თინა ჩუბინიძეა, ის გვეწვია, ხელდამშვენებული მოვიდა, მუზეუმისთვის საჩუქარი მოიტანა: ბაბუის იორდანე ჩუბინიძის დიდებული ვერცხლის ქამარი, სულ მოოქრული, ჩახლართულ-ჩაგვირისტებული, ბექა და ბეშქენ ოპიზრებისთვის დამახასიათებელი ბრწყინვალე ჩუქურთმებით გაფორმებული. ძალიან რომ გაუჭირდა, ძმამ რომ ფეხი მოიტეხა და წამლის ფული ფრიად დასჭირდა, ქამარი მაინც არაფრით არ გაყიდა, საჭირო მედიკამენტებს ბარებსა და რესტორნებში ჩაბარებული ძველებური ფოტოების წყალობით აგროვებდა. ბაბუის ანდერძი მაინც შეასრულა, საქართველოს წინაპრების საგანძური სამუდამოდ შეუნახა. არადა, შეეძლო გული სამშობლოზე აეყარა, გაბრაზებულიყო და ხელი ყველაფერზე ჩაექნია. 2007 წელს ის ხომ სამსახურიდან გამოაგდეს, საუკეთესო სპეციალისტი, რომელმაც განათლების სამინისტროში 39 წელი იმსახურა, თავისსავე გამწვანებულ ეზოში აღარ შეუშვეს: „ხმა არ ამომიღია, უკან უსიტყვოდ გამოვბრუნდი, ოღონდ ეგაა, გზაში ტირილი წამსკდა.“ მიუხედავად ყველაფრისა, სამშობლოსადმი სიყვარული წუთით არ განელებია, ამიტომ „იორდანე ბაბუს“ ხსოვნა პირწმინდად შეინახა და ქართული ხელოვნების დიდებული ნიმუში ქართულ სახელმწიფოს სამუდამოდ და უსასყიდლოდ გადასცა. საჩუქრებს შორის არაერთი ნივთია, მათ შორისაა ბებიის ლეჩაქი, რომლის კიდეებში მთებში დაკრეფილ იებს ართავდნენ და დედის მიერ ხელით ნაქარგი ცხვირსახოცი: „ასეთი ცხვირსახოცების გაყიდვით დედამ ომის გაჭირვება გამოგვატარა, ბოლო ცალი დამრჩა და ისიც თქვენ მოგიტანეთ“-ო, მითხრა საუბრის დროს. ქალბატონმა თინამ მუზეუმს საგანძური ოჯახის წევრების: ნინო და გიორგი ჩუბინიძეების სახელით გადასცა. ასეთ პატრიოტებზე იდგა ჩვენი სამშობლო, ამიტომ საქართველოს ვერავინ ვერასოდეს ვერ დაამარცხებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## გელოდი ფოცხიშვილის 60-წლიანი სასცენო მოღვაწეობა კონცერტით აღინიშნება



ქორეოგრაფიული ანსამბლის „მეტეხის“ დამაარსებლის, ქორეოგრაფ გელოდი ფოცხიშვილის 60-წლიანი სასცენო მოღვაწეობა კონცერტით აღინიშნება.

23 აპრილს საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტი ევროპისა და ამერიკის გრანდიოზული ტურის შემდეგ თბილისში გამართავს კონცერტს. საიუბილეო კონცერტზე „გელოდი ფოცხიშვილი – 60 წელი სცენაზე“ წარმოდგენილი იქნება როგორც ძველი, ასევე ახალი ქორეოგრაფიული დადგმები, რომელიც მსოფლიომ აღიარა.

კონცერტი თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ნიდერლანდების სახელმწიფო ბალეტის სოლისტები გიორგი ფოცხიშვილი და ანნა ციგანკოვა. საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტის დასი და სოლისტები.

## ასტროპროგნოზი



### 15 თებერვლისათვის

**ვერძი** – უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **კურო** – ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. დაკავდით სპორტით. **ტყუპები** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. **ლომი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ქალწული** – მშვიდი და პასიური დღეა. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ღრიანკალი** – ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ **თხის რქა** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 12. ლიბანის დედაქალაქი; 14. თანამდებობის პირისთვის მოსასყიდად გაცემული თანხა; 15. ოპერა „ფაუსტის“ მუსიკის ავტორი; 17. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა; 18. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 6. სხვადასხვა პოპულარული მოტივებისგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. საქართველოს „ფუტბალის“ ნაკრების მეკარე; 8. შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროს კაცის“ ავტორი; 11. სტაჟიორი ადვოკატის სახელწოდება ბრიტანეთში; 13. გეომეტრიული რვაკუთხედი; 16. აეროპორტი ნიუ იორკში; 19. გარემომცველ პირობათა, საგანთა ერთობლიობა; 20. სამეფო საგვარეულო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

